იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში

№10

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №10

თბილისი
2022

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის *„Monitoring of the Judiciary"* ფარგლებში. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს საელჩოს პოზიციას.

Kingdom of the Netherlands

კვლევის ხელმძღვანელი: ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: ნინო ნოზაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 5

მიგნებები 6

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება 9

1.1. საბჭოს დაკომპლექტება და გამოწვევები 9

1.2. მოსამართლე წევრების არჩევა 9

1.3. არამოსამართლე წევრების არჩევა 13

2. მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა და წარდგენა 14

2.1. კონკურსის წესით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა 17

2.2. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა 17

2.3. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა 18

2.4. მოსამართლეთა გადანიშვნა და დაწინაურება 18

2.5. მივლინება 19

2.6. სკოლაში მსმენელთა მიღება 20

2.7. უზენაეს სასამართლოში კანდიდატთა ნომინირება 21

2.7.1. 9 ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - პირველი შერჩევა 22

2.7.2. ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - მეორე შერჩევა 25

2.7.3. ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - მესამე შერჩევა 25

3. ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლეები 27

3.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები 27

3.2. სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევა 28

3.3. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა 29

3.4. პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა 30

4. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა 32

4.1. საკანონმდებლო ხარვეზები 32

4.2. ინსპექტორის დასკვნები 32

4.3. საბჭოს გადაწყვეტილებები 33
4.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა 35

5. საბჭოს ორგანიზება და გამჭვირვალობა 36
5.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება 36
5.2. სხდომების მომზადება 37
5.3. სხდომის მართვა 38
5.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 39
5.5. სხდომების გადაღება და გაშუქება 40
5.6. სხდომების დახურვა 40

6. რეკომენდაციები 42

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და სუბიექტები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - საბჭო) საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციური ორგანოა.[1] მისი ფუნქციაა სასამართლოების დამოუკიდებლობა-ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლება და სხვა ამოცანების შესრულება.[2] საბჭო, ფაქტობრივად, სრულად მართავს საერთო სასამართლოების სისტემას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - საია) 2012 წლიდანაა ჩართული საბჭოს მონიტორინგის ანგარიშების მომზადებაში და ყოველწლიურად აფასებს მის საქმიანობას. წარმოგიდგენთ №10 ანგარიშს, რომლის მიზანია საბჭოს მუშაობის დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ამ უწყების ეფექტიანობის გაზრდას, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასა და მიუკერძოებლობას.

კვლევის ინსტრუმენტები და წყაროები

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოში არსებული ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები;
- საბჭოს სხდომებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე საიას მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

საია ასევე ეყრდნობა წარსულში გამოცემულ ანგარიშებსა და კვლევებს, რომლებიც სასამართლო სისტემას აფასებს. გაანალიზდა საერთაშორისო ორგანიზაციების - ვენეციის კომისიის, ეუთოს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტები (გზამკვლევები, ანგარიშები, შეფასებები და სხვა), როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულად საქართველოს მიმართ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

მადლიერების გამოხატვა

კვლევის ავტორები მოწოდებული მასალებისთვის მადლობას უხდიან საბჭოს აპარატს. ტექსტი ნორმატიული რეალობის იმპლემენტაციის ნაწილის კვლევაში მნიშვნელოვნად ეყრდნობა სწორედ მისგან მიღებულ ინფორმაციას.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[2] იქვე.

მიგნებები

სასამართლო სისტემის მთავარ გამოწვევად კვლავ კლანური მმართველობა რჩება, რასაც ხელს უწყობს საბჭოს წევრების შერჩევის მოქმედი რეგულაცია. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს შემადგენლობაში, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან, ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს კანონში წლის ბოლოს ნაჩქარევად შესული ცვლილება, რომლითაც ზედიზედ ორჯერ ერთი და იმავე პირის საბჭოს წევრად არჩევის აკრძალვა გაუქმდა. იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო პარტნიორები სასამართლო სისტემისა და საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობენ, რაც აისახა კიდეც 19 აპრილის ე.წ. მიშელის ხელშეკრულებაში, ხელისუფლებამ, ძირეული რეფორმების გატარების ნაცვლად, უფრო მეტად წაახალისა კორპორატივიზმი საბჭოში. არამოსამართლე წევრების შესარჩევად პარლამენტს კონკურსიც კი არ გამოუცხადებია. შესაბამისად, საბჭო ივნისის შემდეგ 5 არამოსამართლე წევრის გარეშე, 10-კაციანი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას.

პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ საბჭო როგორც ხარვეზებს, ისე პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებებს საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად იყენებს. უზენაესი სასამართლოს შერჩევის წესში დასაბუთების მექანიზმის ჩადებამ, ღია კენჭისყრამ, გამჭვირვალობის გაზრდამ და გასაჩივრების შესაძლებლობის გაჩენამ საბჭოს ხელი ვერ შეუშალა, კანდიდატები ლოიალობის ნიშნით შეერჩია. ამის მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ კლანი საბჭოში გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ხმების 2/3-ს აკონტროლებს. ნათელია, რომ, საბჭოს რეფორმირების გარეშე, ცვლილებები ფასადურია. იმავდროულად, მას საქმეს უადვილებს პროცედურები, რომლებიც კვლავ შეიცავს ხარვეზებს:

- გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნისა თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას 6 შემფასებლიდან 4 მიიჩნევს, რომ მოსამართლე ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს 70%-ს, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს უვადოდ განწესების მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. საკითხი არ დგება კენჭისყრაზე. ეს წესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ რეგულირებას, რომლის თანახმად, მოსამართლედ კანდიდატის არდანიშვნისთვის 6 პირის უარია საჭირო;
- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის დროს გასაუბრების ღია სხდომაზე ჩატარება კანდიდატის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან საბჭოს მიერ დადგენილი წესით, გასაუბრება დახურულ სხდომაზე ტარდება, რაც, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, პრობლემურია;
- პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების შეფასებები ისეა გაკეთებული, რომ არ იკვეთება, რა კონკრეტულ წყაროს დაეყრდნო საბჭოს წევრი მოსამართლის კეთილსინდისიერების შეფასებისას;
- მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისას არ არის განსაზღვრული გა-

მჭვირვალე პროცედურა. საბჭო არ აქვეყნებს ინფორმაციას პროცესის დაწყების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ.

მივლინების შეცვლილმა წესმა (მივლინების ვადა გაიზარდა 4 წლამდე. ამასთანავე, ამ დროს საბჭოს აღარ სჭირდება მოსამართლის თანხმობა. სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინება შეიძლება განხორციელდეს მართლმსაჯულების ინტერესის მოტივით, ხოლო კონკრეტული გარემოებების მითითება, რა მოიაზრება ამ ტერმინში, საბჭოს აღარ ევალება. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა აპელაციის მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში) საბოლოოდ გამოაჩინა, რომ ხელისუფლება მის მიერვე მიღებულ პოზიტიურ ცვლილებებს აუქმებს და „კლანს“ ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზეწოლის სამართლებრივ ბერკეტებს აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ მსმენელთა მისაღებ კონკურსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, თავად სკოლა ჩაატარებს, კვლავ პრობლემურია სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და თავმჯდომარის შერჩევის პროცესში იუსტიციის საბჭოს ფართო როლი. მსმენელთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება სკოლას დაევალა, რომელსაც კონკურსის ჩატარების ახლებური მოწესრიგება არ შემოუთავაზებია.

საბჭოს ძალაუფლების ერთ-ერთ ბერკეტს თავმჯდომარეები წარმოადგენენ. „კლანის“ ყველა გავლენიან წევრს სასამართლო სისტემაში მუდმივად უჭირავს მნიშვნელოვანი თანამდებობა. ისინი ამ თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან, რაც სასამართლოს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობას სხვა მოსამართლეებს არ აძლევს. ამ მოსაზრების ილუსტრაციაა საანგარიშო პერიოდში დადგენილი სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა ქაოსური, ბუნდოვანი დანიშვნის პრაქტიკა. წლებია, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მოსამართლეების მიერ სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევის წესმა. კანონის ჩანაწერს, რომ თავმჯდომარის დანიშვნამდე შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან საბჭო კონსულტაციებს მართავს, ეს უკანასკნელი არათანმიმდევრულად იყენებს. საანგარიშო პერიოდში თავმჯდომარეებისა და მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის პროცესი არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა. ტენდენციის სახე მიიღო მოსამართლეთა სპეციალიზაციის შეცვლამ და შემდეგ უკვე სასურველი კოლეგიის/პალატის თავმჯდომარედ განწესებამ. გამოწვევად რჩება თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის მექანიზმის დაურეგულირებლობა.

ანგარიში ეხება კიდევ ერთ პრობლემას - დისციპლინურ სამართალწარმოებას. გამოწვევად რჩება დამოუკიდებელი ინსპექტორის (შემდგომში - ინსპექტორი) შერჩევის არასათანადო საკანონმდებლო რეგულირება და ამ პროცესში საბჭოს მიერ დადგენილი გაუმჭვირვალე პრაქტიკა.

- ინსპექტორის დანიშვნისას საკმარისია საბჭოს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსამართლე წევრებს, ინსპექტორად მათთვის მისაღები კანდიდატი შეარჩიონ;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის წესი არ განსაზღვრავს ბევრ მნიშვნელოვან საკითხს. არ არის დადგენილი: კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ინტერე-

სთა კონფლიქტის თავიდან აცილება) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და წესი, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასების წესი და მისი დასაბუთება);

- დისციპლინური სამართალწარმოებისას საჩივრების განხილვის ვადები კვლავ ჭიანურდება. მაღალია მათი შეწყვეტის მაჩვენებელი. საბჭომ მხოლოდ ერთი დისციპლინური სხდომა ჩაატარა და 2021 წლის არცერთი საჩივარი არ განუხილავს. ამ ფონზე დეკემბრის ბოლოს მიღებული ცვლილებებით პარლამენტმა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები გაანახევრა, ასევე შეამცირა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი.

გამოწვევად რჩება საბჭოს გამჭვირვალობა. მენეჯმენტის პრობლემაზე მიუთითებს მრავალჯერ გადადებული სხდომები და საკითხები. პრობლემურია მათი დახურვის პროცედურების ბუნდოვანებაც. მონიტორინგის შედეგად, ამ ნაწილში შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოიკვეთა:

- საბჭოს რეგლამენტში არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგის პროექტს. არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება;
- საბჭოს რეგლამენტით არ არის დარეგულირებული, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის დასაფიქსირებლად, რამდენჯერ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთია გამოყოფილი განცხადების გასაკეთებლად;
- საანგარიშო პერიოდში მუდმივად ირღვეოდა სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის 3 დღით ადრე გამოქვეყნების წესი. ამის შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდებოდა სხდომის წინა დღეს, დღის მეორე ნახევარში.
- საბჭომ არც საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო სხდომების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა.

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება

1.1. საბჭოს დაკომპლექტება და გამოწვევები

მართლმსაჯულების საბჭოს მიზანია, დაიცვას სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა. მისი შემადგენლობა უნდა იყოს იმგვარი, რომ ამის შესრულება შეძლოს.[3] ამჟამად საბჭო 15 წევრისგან შედგება, საიდანაც 8 მოსამართლე წევრს - მოსამართლეთა კონფერენცია, 5-ს - პარლამენტი და 1-ს პრეზიდენტი ნიშნავს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი მასში თანამდებობრივად შედის.[4] საბჭოს, როგორც გავლენიანი ორგანოს, დაკომპლექტების წესის სრულყოფა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს სასამართლო სისტემაში ჯანსაღ პროცესებს, გადამწყვეტია როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, ისე კორპორატივიზმის დასაძლევად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა.

მოსამართლე წევრებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით ირჩევს.[5] კანდიდატის დასახელების უფლება კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს აქვს.[6] საიას აზრით, მოსამართლე წევრთა არჩევის ამჟამინდელი მაჟორიტარული სისტემა უნდა შეიცვალოს.

19 აპრილს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხელმოწერილი შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა იყო, რაც იუსტიციის საბჭოს ძირეულ რეფორმასაც მოიცავდა.[7] მართალია, შეთანხმებაში აქცენტი არ კეთდებოდა საბჭოს დაკომპლექტების წესის ცვლილებაზე, თუმცა ხაზგასმული იყო საბჭოს საქმიანობაში გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის აუცილებლობა.[8]

1.2. მოსამართლე წევრების არჩევა

24 ივნისს საბჭოს 4 მოსამართლე წევრს: ირაკლი შენგელიას, დიმიტრი გვრიტიშვილს, ვასილ მშვენიერაძესა და ირაკლი ბონდარენკოს უფლებამოსილების ვადა ეწურებოდათ. 26 მაისს მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენცია დაინიშნა, რომელზეც საბჭოს 4 მოსამართლე წევრის არჩევა იყო დაგეგმილი. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი სწორედ მიშელის შეთანხმების გათვალისწინებით მოუწოდებდა მოსამართლეებს, რეფორმებამდე თავი შეეკავებინათ საბჭოს წევრების არჩევისგან, ხოლო ხელისუფლებას - დროულად დაეწყო მართლმსაჯულების ძირეული რეფორმა.[9] სა-

---

[3] მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, დასკვნა №10 (2007), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YCyTQt, განახლებულია: 15.12.2021.

[4] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[5] იქვე, 65-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[6] იქვე, 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[7] President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties, EU-ს ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/8TPJOAq, განახლებულია: 20.12.2021.

[8] იქვე.

[9] „ხელმომწერი ორგანიზაციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის შეჩერებას მოითხოვენ“, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებგვერდი, 2021 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1UoABcO, განახლებულია: 20.12.2021.

ქართველოს ხელისუფლებას საბჭოს წევრების დანიშვნის პროცესის დაუყოვნებლივ შეჩერებისკენ მოუწოდებდნენ ევროკავშირის მედიაციაში ჩართული ელჩები. დიპლომატები ხაზს უსვამენ, რომ მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოსთვის მაკროფინანსური დახმარების გაწევის მკაცრი პირობა იყო.[10] დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, თუ კონფერენცია დღის წესრიგს არ დაამტკიცებდა, ეს ავტომატურად ნიშნავდა, რომ კონფერენციის მუშაობა აღარ გაგრძელდებოდა და საბჭოს წევრებს არ აირჩევდნენ.[11] თუმცა, 26 მაისის კონფერენციაზე დამსწრე 291-მა მოსამართლემ დღის წესრიგი ერთხმად დაამტკიცა.[12]

კანდიდატებად ბადრი შონია, თემურ გოგოხია, გოჩა აბუსერიძე და ლევან მიქაბერიძე დასახელდნენ. კენჭისყრის შედეგები ასე გადანაწილდა: ბადრი შონია - 281, თემურ გოგოხია - 278, გოჩა აბუსერიძე - 274, ლევან მიქაბერიძე - 283.[13]

მოსამართლეებისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი კანდიდატების შესახებ. მათ კონფერენციისთვის არ წარუდგენიათ საკუთარი ხედვა და მოსაზრებები სისტემაში არსებულ ვითარებაზე ან გეგმების თაობაზე საბჭოში. ამის მიუხედავად, მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა არაკონკურენტულ გარემოში დასახელებულ 4 კაც კანდიდატს. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს პროცესის ფორმალურობას და ფასადურ ხასიათს. საია მიიჩნევს, რომ საბჭოს ახალი წევრების არჩევა იყო როტაცია „კლანისადმი“ ლოიალურად განწყობილ პირებს შორის, რა დროსაც საბჭოს მოქმედი მოსამართლე წევრები გავლენიანი ჯგუფის კონტროლს დაქვემდებარებულმა სხვა მოსამართლეებმა ჩაანაცვლეს.[14]

31 ოქტომბერს მოსამართლეთა კონფერენციამ კიდევ ორი ახალი წევრი აირჩია.[15] 27 ოქტომბერს გამოქვეყნებული დღის წესრიგის თანახმად, კონფერენციაზე, სხვა საკითხებთან ერთად, საბჭოს ახალი მოსამართლე წევრების არჩევა იგეგმებოდა.[16] თუმცა, იმ დროისთვის არცერთ მოსამართლე წევრს უფლებამოსილების ვადა არ ეწურებოდა. მხოლოდ კონფერენციის დღეს გახდა ცნობილი, რომ საბჭოს წევრებმა თამარ ონიანმა და თეა ლეონიძემ პირადი განცხადებით მიმართეს ადმინისტრაციულ კომიტეტს და ვადაზე ადრე მოითხოვეს საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. თამარ ონიანს უფლებამოსილება 2022 წლის მარტში, ხოლო თეა ლეონიძეს 2024 წლის

---

[10] „დიპლომატები ქართულ ოცნებას პასუხისმგებლობებს ახსენებენ და მოსამართლეთა დანიშვნის შეჩერებისკენ მოუწოდებენ“, საინფორმაციო პორტალი „on.ge”-ის ვებგვერდი, 2021 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/sUpJ6AL, განახლებულია: 20.12.2021.

[11] „დიმიტრი გვრიტიშვილი - თუ 26 მაისს მოსამართლეთა კონფერენცია სხდომის დღის წესრიგს არ დაამტკიცებს, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ კონფერენცია გადაიდება და იუსტიციის საბჭოს წევრების არჩევა არ მოხდება“, „ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი, 2021 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/379hpD7, განახლებულია: 20.12.2021.

[12] 26 მაისის მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციაზე უშუალო დასწრებით მიღებული ინფორმაცია.

[13] იქვე.

[14] „საია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევნებს შიდაკლანურ როტაციად აფასებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KUpVPMk, განახლებულია: 20.12.2021.

[15] „მოსამართლეთა XXX კონფერენცია“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/yRB4178, განახლებულია: 01.11.2021.

[16] საქართველოს მოსამართლეთა XXX კონფერენცია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, 2021 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/yRB7vnA, განახლებულია: 01.11.2021.

ოქტომბერში ეწურებოდა. კონფერენციაზე ორი ქალი მოსამართლე წევრის ვაკანსიაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების - პაატა სილაგაძისა და გიორგი გოგინაშვილის კანდიდატურები დასახელდა. კონკურენცია არც ამჯერად ყოფილა. ასევე, კანდიდატებს არ წარმოუდგენიათ თავიანთი ხედვები მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან, მიღწევებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, კენჭისყრაში მონაწილე 263 მოსამართლიდან პაატა სილაგაძეს ხმა მისცა 257-მა, გიორგი გოგინაშვილს კი - 253 მოსამართლემ. მნიშვნელოვანია, რომ პაატა სილაგაძე ადრე უკვე იყო საბჭოს წევრი.[17] იგი ასევე იყო იმ 10-კაციან სიაში, რომელიც საბჭოს მდივანმა ყოველგვარი პროცედურის გარეშე წარუდგინა პარლამენტს და მერეც არაერთხელ მოხდა მისი ნომინირება უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, თუმცა, საბოლოოდ, მას პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. საიას შეფასებით, 31 ოქტომბერს კონფერენციის დანიშვნა იმ მანიპულაციური პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელიც არჩევნების დღესთან ახლოს მის ჩატარებას გულისხმობდა, მაშინ, როცა საზოგადოების ყურადღება სხვა საკითხებზე უფრო მეტადაა მიპყრობილი.

საბჭოს ორი მოსამართლე წევრის არჩევას მწვავე შეფასება მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. ევროკავშირის ელჩის განცხადებით, ორი ახალი მოსამართლე წევრის „დანიშვნა იყო ნაჩქარევი, გაუმჭვირვალე და არაკონკურენტული“.[18] კრიტიკული იყო აშშ-ის საელჩოს გამოხმაურებაც, რომელმაც ამ პროცესს გაუმჭვირვალე და ნაჩქარევი უწოდა.[19]

კრიტიკის პასუხად, 4 ნოემბერს კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც სამოქალაქო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პარტნიორებს სასამართლო სისტემის საქმიანობაში ჩარევაში ადანაშაულებდა.[20] განცხადებას რამდენიმე მოსამართლე გაემიჯნა. მათთვის მიუღებელი საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკა აღმოჩნდა.[21] ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერების მნიშვნელობა, რათა მათ სამომავლოდ უკვე სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრონ საჯაროდ, რაც სისტემის გაჯანსაღების პროცესს წაადგება. საბჭოს დაკომპლექტების წესი კი, ამის საპირისპიროდ, ხელს უწყობს სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის გაძლიერებას და

[17] „მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 წევრი აირჩია“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, 2013 წლის 10 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/uRNqChC, განახლებულია: 01.11.2021.

[18] „ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით“, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერდი, 2021 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/JTWkE4x, განახლებულია: 20.12.2021.

[19] „EU-ს ელჩის შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრების დანიშვნას აშშ-ის საელჩოც აკრიტიკებს“, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2021 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/3Uauhvx, განახლებულია: 22.12.2021.

[20] „მოსამართლეები - ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილება არც ,,გაუგებარი“ და არც „უკან გადადგმული მე-5 ნაბიჯია“, არამედ - ის არის სწორედ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გამოხატულება“, 2021 წლის 5 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vXZFCY, განახლებულია: 21.12.2021.

[21] ქეთევან მესხიშვილი, შოთა გეწაძე, გელა ბადრიაშვილი, თეა სოხაშვილი-ნიკოლეიშვილი, ნინო ბაქაქური, ეკატერინე გასიტაშვილი, გიორგი ებანოიძე, ეკა არეშიძე, შორენა გუნცაძე, ლილი მსხილაძე, თამარ ხაჟომია, ზაზა მარტიაშვილი, ხათუნა ჯინორია, მანანა მესხიშვილი, დავით წერეთელი, თამარ ჩიხლაძე, ლევან დარბაიძე, ნინო გერგაული, მადონა მაისურაძე, ბადრი ნიპარიშვილი, ციცინო კიკვაძე, მამუკა წიკლაური, დევი დევიძე.

აბრკოლებს განსხვავებული მოსაზრებების მქონეთა ინტერესების თანაბრად წარმოდგენას.

„სასამართლოს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ, საბჭოს წევრები იყვნენ. ეს ხელს უწყობს სასამართლო სისტემაში ისედაც არსებული არაფორმალური იერარქიის კიდევ უფრო განმტკიცებას. ამიტომ, საბჭოს წევრმა, რომელიც, მოსამართლის გარდა, სხვა თანამდებობასაც იკავებს, არჩევისთანავე უნდა დატოვოს იგი. დეკემბრის ბოლოს დაჩქარებულად მიღებული ცვლილებების შედეგად, გაუქმდა საბჭოს წევრის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა. ეს ცვლილება, მით უფრო იმ პირობებში, როცა მუდმივად კრიტიკის საგანია მენეჯერულ თანამდებობებზე ერთი და იმავე პირების როტაცია, კიდევ უფრო გაამყარებს გავლენიანი ჯგუფის ხელში ძალაუფლებას.

საია მიიჩნევს, რომ საბჭოში თავმჯდომარეების კვოტა უნდა გაუქმდეს. გავლენის შესამცირებლად საბჭოს დაკომპლექტების მიმართულებით ასევე აუცილებელია ისეთი ცვლილებები, როგორიცაა საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევისას გენდერული, რეგიონული და ინსტანციური კვოტების (ეს უკანასკნელი კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს) დაწესება“.[22]

2013 წლიდან დღემდე კონფერენციამ საბჭოში 20 კაცი და 5 ქალი წევრი აირჩია. მაგალითად, 2017 წელს, როცა საბჭოში 4 მოსამართლე წევრის ვაკანსია იყო, კანდიდატად 7 მოსამართლე დასახელდა. მათგან მხოლოდ ერთი იყო ქალი. საბოლოოდ, კონფერენციამ 4 კაცი წევრი აირჩია. დადებითად შეიძლება შეფასდეს 2020 წელს საბჭოს წევრად ორი ქალი მოსამართლის არჩევა. თუმცა, 2021 წელს ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა - მოსამართლეთა კონფერენციამ ორი ქალი მოსამართლე კაცი მოსამართლეებით ჩაანაცვლა.[23] ამჟამად საბჭო ათკაციანი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას. აქედან: 8 - კონფერენციის მიერ არჩეული წევრია, 1 - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და 1 - პრეზიდენტის მიერ წინა წელს გაუმჭვირვალე პროცესით დანიშნული არამოსამართლე წევრი.[24] 8 წევრიდან 3 - უზენაესი სასამართლოდან, 3 - პირველი ინსტანციიდან, ხოლო 2 - აპელაციიდანაა წარმოდგენილი. არცერთი არ არის დასავლეთ საქართველოს სასამართლოებიდან. ამჟამად საბჭოს მოსამართლე წევრთაგან 2 ქალია (აქედან ერთი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძეა).

მნიშვნელოვანია, კანონმა განსაზღვროს გენდერული კვოტები, რაც შექმნის გარანტიებს ამ თანამდებობაზე ქალი წევრების დანიშვნისთვის.

---

[22] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020 წელი, გვ. 42, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qTcutK, განახლებულია: 19.12.2021.

[23] მოსამართლეთა XXX კონფერენცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/gFaT4ON, განახლებულია: 04.04.2022.

[24] „საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად თამარ ღვამიჩავა დანიშნა“, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 23 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39LeiQl, განახლებულია: 02.02.2021.

1.3. არამოსამართლე წევრების არჩევა

არამოსამართლე წევრები კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით აირჩევიან.[25] 3/5-ით არამოსამართლე წევრთა არჩევა საკონსტიტუციო ცვლილებების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი კონსენსუსს ეფუძნება. **თუმცა, საია მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არ არის. ამ მიდგომის გასაღრმავებლად საჭიროა, პარლამენტმა არამოსამართლე წევრები ორმხრივი (ხელისუფლების და ოპოზიციის) ფართო მხარდაჭერით აირჩიოს.**

პარლამენტში არამოსამართლე წევრების არჩევის მოქმედი წესი ვერ უზრუნველყოფს სათანადო გამჭვირვალე პროცედურას, რის გამოც, ჯერ კიდევ 2017 წელს საიამ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა, რომელიც ითვალისწინებდა: ა) საბჭოს წევრობის კანდიდატების ბიოგრაფიის და ხედვის დოკუმენტების წარდგენას და საჯაროდ გამოქვეყნებას; ბ) წამყვანი კომიტეტის მიერ საბჭოს წევრების კანდიდატებთან გასაუბრების წესის შემოღებას და დაინტერესებული პირებისთვის შეკითხვების დასმის უფლების მინიჭებას.[26] რეგლამენტში ცვლილებები არ ასახულა. მნიშვნელოვანია, პარლამენტმა განიხილოს იგი და ნორმატიულ დოკუმენტად აქციოს.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს 5 არამოსამართლე წევრს გაუვიდა უფლებამოსილების ვადა.[27] კოალიცია პარლამენტს მოუწოდებდა, თანამდებობაზე კეთილსინდისიერი და კომპეტენტური კანდიდატები შეერჩია, რომელთა მიმართ საზოგადოებრივი ნდობა და პარტიების ფართო კონსენსუსი იარსებებდა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდაჭერით არჩეული 5 დამოუკიდებელი წევრი საბჭოში განსხვავებულ აზრს გააჩენდა და „კლანს“ ერთხმიან არამყარ უპირატესობას დაუტოვებდა.[28] თუმცა, საანგარიშო პერიოდში პარლამენტს კონკურსი არ გამოუცხადებია.

გენდერული კვოტები მნიშვნელოვანია არამოსამართლე წევრების არჩევის დროსაც.

---

[25] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[26] „არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, უზრუნველყონ იუსტიციის საბჭოს ახალი წევრების არჩევის გამჭვირვალე პროცესი“, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებგვერდი, 2017 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YIhR3c, განახლებულია: 20.12.2021.

[27] შოთა ქადაგიძეს - 2021 წლის 23 მარტიდან, ხოლო ნაზი ჯანეზაშვილს, ირმა გელაშვილს, ლევან გზირიშვილსა და ზაზა ხარებავას - 23 ივნისიდან.

[28] „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/oUoGLNr, განახლებულია: 20.12.2021.

2. მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა და წარდგენა

რაიონულ (საქალაქო), ასევე სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეებს კონკურსის საფუძველზე ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა, უკონკურსოდ გადაყვანა „კლანისთვის" ერთ-ერთი ბერკეტია გავლენის მოსაპოვებლად. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსები მუდმივად კრიტიკას იმსახურებს.[29]

კანონმდებლობა ითვალისწინებს:

- გამოსაცდელი ვადით და მისი გავლის შემდეგ უვადოდ გადანიშვნას;
- სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ გადანიშვნას;
- სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას.[30]

გამარტივებული რეგულაციებია დადგენილი საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყოფილი და მოქმედი მოსამართლეების დანიშვნისთვის.[31]

პირველ და მეორე ინსტანციაში ამ დროისთვის 315 მოქმედი მოსამართლეა.[32] მათგან უვადოდ დანიშნულია 257 მოსამართლე, 10-წლიანი ვადით - 9, ხოლო 3-წლიანი ვადით - 49.[33]

2.1. კონკურსის წესით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა

მოსამართლეთა შესარჩევად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში საბჭო ატარებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ: (1) იუსტიციის უმაღლესი სკოლის (შემდეგში - სკოლა) კურსდამთავრებულებს, (2) ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს. სკოლის მსმენელები სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, ხოლო მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან.

„მესამე ტალღის" რეფორმით დადგინდა, რომ კანდიდატი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით, ქულების მეშვეობით ფასდება.[34] მათი პროფესიული რეპუტაციისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შემაჯამებელ ოქ-

[29] ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 16-25, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2zqPX2X, განახლებულია: 12.03.2022; ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020 წელი, გვ. 14-21 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qTcutK, განახლებულია: 12.03.2022.

[30] საანგარიშო პერიოდში ამ წესით საბჭოს აღარ უხელმძღვანელია, ვინაიდან მოსამართლეები, რომლებსაც ეს გარდამავალი რეგულირება ეხებოდათ, უვადოდ გადაინიშნნენ. ფაქტობრივად, ამ მუხლმა საკუთარი ფუნქცია ამოწურა.

[31] იქვე, 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

[32] მონაცემები განახლებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

[33] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №924/3501-03-ო წერილი.

[34] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

მში აისახება,[35] შემდეგ კი გასაუბრება ტარდება.[36] იმ პირის კანდიდატურა, რომლის შემთხვევაშიც საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა (8 წევრი) მიიჩნევს, რომ „აკმაყოფილებს“ ან „სრულად აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის ნაწილში, საერთო ჯამში, მოპოვებული აქვს ქულათა არანაკლებ 70%, კენჭისყრაზე დგება.[37] საბოლოოდ, მოსამართლე ხდება ის, ვინც საბჭოს წევრთა ხმების 2/3-ს მიიღებს.[38]

საიას აზრით, მნიშვნელოვანია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების, საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმების ორმაგი 2/3-ით დანიშვნა.[39] ეს რეგულაცია, თუ პარლამენტი არამოსამართლე წევრებად საზოგადოების მიერ ნდობაგამოცხადებულ და ფართო შეთანხმებით შერჩეულ წევრებს დანიშნავს, შეცვლის საბჭოში არსებულ ძალთა გადანაწილებას და მეტად კონსენსუსზე ორიენტირებულს გახდის მას.

საბჭომ 22 თებერვალს 85 ვაკანსიაზე გამოაცხადა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი. კანდიდატთა რეგისტრაცია 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა.[40] კონკურსში მონაწილეობდა და კენჭისყრის ეტაპზე გადავიდა 56 კანდიდატი.[41] მათგან 28 - მოქმედი, 7 - ყოფილი მოსამართლე და 21 - სკოლის კურსდამთავრებული იყო.[42]

2021 წლის 2 მარტს საბჭომ, დამატებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოაცხადა კონკურსი[43] სამივე კოლეგიაში.[44] განაცხადები მიიღებოდა 3-იდან 17 მარტის ჩათვლით. დარეგისტრირდა 17 კანდიდატი, 14 გადავიდა კენჭისყრის ეტაპზე, 3-მა კანდიდატურა მოხსნა.[45]

85 ვაკანსიაზე გასაუბრებები 19 მაისს დაიწყო,[46] 20 მაისს გაგრძელდა და 2-4 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა. საბჭო დღეში 7-10 კანდიდატს ესაუბრებოდა. პროცესი ღია ფორმატში ჩატარდა. საბჭოს წევრის აცილება არცერთ კანდიდატს არ დაუყენე-

---

[35] იქვე, მე-7 პუნქტი.

[36] იქვე, მე-13 პუნქტი.

[37] იქვე, 35-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

[38] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4[1] პუნქტი.

[39] ამ პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა, სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/oUoGLNr, განახლებულია: 04.04.2021.

[40] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/EPGm0qV, განახლებულია: 23.02.2022.

[41] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №945/3500-03-ო წერილი.

[42] იქვე.

[43] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/nPGWt0h, განახლებულია: 23.02.2022.

[44] ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული; სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული; სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

[45] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №945/3500-03-ო წერილი.

[46] გასაუბრება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/8Ai069V, განახლებულია: 28.02.2022.

ბია. 2 მარტის სამ ვაკანსიაზე დარეგისტრირებულ კანდიდატებთან გასაუბრება გაიმართა 7 ივნისს.[47] თვითაცილების შესახებ განაცხადა საბჭოს წევრმა ლევან გზირიშვილმა, ვინაიდან კონკურსში მისი შვილი მონაწილეობდა. 17 ივნისს სხდომაზე კანდიდატებს ერთიანად ეყარა კენჭი. კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 12 წევრი. ირმა გელაშვილს კანდიდატების შეფასებასა და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. თვითაცილების გამო, სხდომას არ ესწრებოდა ლევან გზირიშვილი.[48] ყველა კანდიდატმა დააკმაყოფილა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმი და კენჭისყრის ეტაპზე გადავიდა.[49]

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი საბჭოს მოუწოდებდა, შეეწყვიტა ფორსირებულ რეჟიმში სასამართლო კორპუსის დაკომპლექტება,[50] ვინაიდან 19 აპრილს დადებული ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტი ითვალისწინებდა სასამართლოს ძირეულ რეფორმას. ეს გულისხმობდა, მათ შორის, საბჭოს არსებით მოდიფიცირებას გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.[51] ამის მიუხედავად, საბჭომ კონკურსები გააგრძელა, რაც ნათლად აჩვენებდა, რომ მას ზურგს ხელისუფლება უმაგრებდა, რომელიც კონკურსების შეჩერების საფუძველს ასევე ვერ ხედავდა.[52]

არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი აპროტესტებდა კონკურსში ლევან გზირიშვილის შვილის მონაწილეობას. მისი აზრით, ეს იყო თვალსაჩინო შემთხვევა, როგორ ურიგდებოდა საბჭოს არამოსამართლე წევრი „კლანს“.[53]

88 ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 47 მოსამართლე დაინიშნა. აქედან, სკოლის 22 კურსდამთავრებული თანამდებობაზე სამწლიანი ვადით, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე 25 პირი უვადოდ განწესდა.[54]

მეოთხე ტალღის ცვლილებებით, კენჭისყრის ჩატარების შემდეგ საბჭოს დასაბუთების გამოქვეყნება დაევალა.[55] დასაბუთება პროცედურის აღწერას და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და კეთილსინდისიერების თაობაზე დასკვნას მოიცავს.[56]

დასაბუთებებში მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის აღწერა გამჭვირვალეა, თუ-

---

[47] გასაუბრება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 7 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/gAi9ZAZ, განახლებულია: 28.02.2022.

[48] იხ. 2021 წლის 17 ივნისის საქართველოს იუსტიციის საბჭოს სხდომის ოქმი.

[49] იქვე.

[50] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო აგრძელებს მართლმსაჯულებისთვის დამაზიანებელი ნაბიჯების გადადგმას“, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებგვერდი, 2021 წლის 18 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AAfhGeY, განახლებულია: 28.02.2022.

[51] “President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties”, EU-ს ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/8TPJOAq, განახლებულია: 04.04.2022.

[52] „კუჭავა ელჩებს: პასუხისმგებელი ვარ, უზრუნველვყოთ მოსამართლეთა და საბჭოს წევრების დანიშვნა“, 2021 წლის 23 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AAoUvir, განახლებულია: 28.02.2022.

[53] „იუსტიციის საბჭოს წევრის შვილს მოსამართლეობა სურს - ნეპოტიზმი?“ „ნეტგაზეთის“ ვებგვერდი, 2021 წლის 19 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1AoYkqf, განახლებულია: 28.02.2022.

[54] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №945/3500-03-ო წერილი.

[55] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4^2 პუნქტი.

[56] იქვე.

მცა, მაგალითად, კეთილსინდისიერების შეფასებისას დასაბუთება ისეა შედგენილი, შეფასება ნებისმიერ მოსამართლეს შეიძლება მიემართებოდეს და არ არის მორგებული კონკრეტულ პირზე. დასკვნები ისეა გაკეთებული, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნო საბჭოს წევრი მოსამართლის კეთილსინდისიერების შეფასებისას. იმავდროულად, საბჭოს წევრი უფლებამოსილია, დაწეროს განსხვავებული აზრი,[57] თუმცა ეს უფლება საბჭოს არცერთ წევრს არ გამოუყენებია.

მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთებაში ჩანდეს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველი გახდა. დასკვნა დაინტერესებულ პირს უნდა აძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას მოსამართლის კეთილსინდისიერების თაობაზე.

5 აგვისტოს საბჭომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების 42 ვაკანსიაზე შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. განაცხადების მიღება 6 აგვისტოდან 22 აგვისტომდე მიმდინარეობდა.[58] კანონით, საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს.[59] 5-დღიანი ვადის დარღვევა საბჭოს მდივანმა პანდემიითა და სხვა ობიექტური მიზეზებით ახსნა.[60] 7 სექტემბრის სხდომაზე მოსამართლეობის კანდიდატად 13 პირი დარეგისტრირდა. მათ ნაწილთან საბჭომ გასაუბრება 15 დეკემბერს ჩაატარა,[61] თუმცა კონკურსი საანგარიშო პერიოდში არ დასრულებულა.

2.2. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა

აქ პროცედურები თითქმის იგივეა, რაც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირთა კონკურსის წესით დანიშვნისას, თუმცა კომპეტენტურობის კრიტერიუმს შეფასებისას ემატება პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი.[62] ამასთანავე, ფასდება (გარდა საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრისა) მის მიერ განხილული 5 საქმე (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, არანაკლებ 2 ისეთი, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილება ზემდგომმა სასამართლომ შეცვალა).[63] კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ ეს კანდიდატები უვადოდ ინიშნებიან.[64] 2021 წელს ამ პრინციპით 25 მოქმედი მოსამართლე განწესდა უვადოდ.[65]

---

[57] იქვე.

[58] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 5 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KAolYPY, განახლებულია: 28.02.2022.

[59] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 35-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

[60] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 სექტემბრის სხდომის ოქმი.

[61] გასაუბრება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/aGb72Qg, განახლებულია: 28.04.2022.

[62] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 36^3-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[63] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.

[64] იქვე.

[65] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №945/3500-03-ო წერილი.

2.3. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით განწესებულ მოსამართლეს 3 წლის განმავლობაში აფასებს საბჭოს სამი მოსამართლე და სამი არამოსამართლე წევრი.[66] პირველი, მეორე და მესამე წლის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საბჭო მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას პირის უვადოდ დანიშვნის შესახებ.[67] გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრაზე, უარი საბუთდება, ხოლო დოკუმენტაცია საჯაროა.[68] მოქმედი პროცედურით 2021 წელს საბჭოს მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე პირთა უვადოდ გადანიშვნაზე არ უმსჯელია. იმის გათვალისწინებით, რომ ივნისის შემდეგ საბჭო 10 წევრით მუშაობს და მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრია, 17 ივნისს დანიშნული სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირთა შეფასების პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, თუ 6 შემფასებლიდან 4 მიიჩნევს, რომ კანდიდატი ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ეს საკმარისი პირობაა გასაუბრების ეტაპზე მისი არდაშვებისთვის.[69] ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს 70%-ს, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს უვადოდ განწესების მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.[70] საკითხი არ დგება კენჭისყრაზე. ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ რეგულირებას, რომლის თანახმად, პირი მოსამართლედ არ დაინიშნება, თუ მის კანდიდატურას მხარს არ უჭერს საბჭოს 6 წევრი.[71] არსებული წესის შესაბამისად, ფაქტობრივად, ამის გაკეთება 4 წევრს შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას,[72] ეს ჩანაწერი პირველადი წესის არაკონსტიტუციურობას ვერ ცვლის. **რეგულაცია უნდა გაუქმდეს. ამის ნაცვლად, 4 წევრის მიერ ამგვარი შეფასების შემთხვევაში საბჭოს სხდომას უნდა წარედგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. თუ წინადადება მოაგროვებს 6 ხმას, მოსამართლე გასაუბრებაზე არ დაიშვება. ამასთანავე, ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა უვადოდ განწესება მოხდეს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა ხმების 2/3-ით.**

2.4. მოსამართლეთა გადანიშვნა და დაწინაურება

წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო კონკურსის გარეშე გადანიშვნის რეგულაცია და მისი აღსრულება.[73] „მესამე ტალღის“ ცვლილებებით, მოსამართლის გადანიშ-

[66] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 44-ე პუნქტი.
[67] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.
[68] იქვე, 36^4-ე მუხლი.
[69] იქვე, 36-ე მუხლის მე-13 პუნქტი.
[70] იქვე.
[71] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილებას საბჭოს 15 წევრიდან 10-მა უნდა დაუჭიროს მხარი. თუ 6 წინააღმდეგი იქნება, პირს მოსამართლედ არ დანიშნავენ.
[72] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36^4-ე მუხლის მე-13 პუნქტი.
[73] ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 30-32.

ვნას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მისივე თანხმობა სჭირდება.[74] მანამდე ეს ქვემდგომ ინსტანციაშიც იყო შესაძლებელი. მოსამართლის დაწინაურება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.[75] დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება კანონმდებელმა საბჭოს დაავალა.[76] ეს უკანასკნელი მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლა: „შეიძლება დაწინაურდეს მხოლოდ ის მოსამართლე, რომელიც კომპეტენციით, გამოცდილებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციით შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას".[77] **მნიშვნელოვანია, გაიწეროს ისეთი პროცედურა/კრიტერიუმები, რომლებიც მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანისას ნათლად წარმოაჩენს კონკრეტული კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლიანობას.**

პროცედურების მიხედვით, ინფორმაცია ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. მსურველ მოსამართლეს განაცხადის წარდგენისთვის 7 დღე აქვს,[78] რის შემდეგაც მას საბჭო განიხილავს და პირს გასაუბრებაზე იწვევს. საანგარიშო პერიოდში საკითხი 6-ჯერ დადგა დღის წესრიგში.[79] საერთო ჯამში, 7 მოსამართლე გადაინიშნა. მათგან 6 დაწინაურდა. კონკურსი არ იყო გამჭვირვალე. არ გამოქვეყნებულა მასალები პროცესის დაწყების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ. ინფორმაცია მხოლოდ გასაუბრების დღეს, სხდომაზე ხდებოდა ხელმისაწვდომი. გასაუბრება (რომელიც უმეტესად 5-10 წუთი გრძელდებოდა და, მეტწილად, მოტივაციისა და დატვირთულობის შესახებ კითხვებს მოიცავდა) და კენჭისყრა, ძირითადად, ერთსა და იმავე დღეს ტარდებოდა. ამგვარ პრაქტიკას ნაზი ჯანეზაშვილი და ირმა გელაშვილი აპროტესტებდნენ. მათი აზრით, პროცედურები არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული და გაურკვეველი იყო, რას ემსახურებოდა უკონკურსოდ გადაყვანის ამდენჯერ ინიცირება, მით უფრო, რომ ის მოსამართლეთა ნაკლებობის პრობლემას ვერ აგვარებდა.[80] **მნიშვნელოვანია, საბჭომ მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა და დაწინაურების პროცესი გამჭვირვალედ წარმართოს.**

2.5. მივლინება

მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღით": განისაზღვრა მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესი; დადგინდა მივლინების საფუძვლები და შესაბამისი მოსამართლის შერჩევის პროცედურა; მივლინება შესაძლებელი იყო ერთი წლამდე ვადით და მისი გაგრძელება შეიძლებოდა მხოლოდ ერთი წლით; გადაწყვეტილებაში უნდა დასაბუთებულიყო მივლინების საჭიროება და მისი გავლენა როგორც გადაყვანის ადგილზე, ისე იმ სასამართლოზე, საიდანაც მოსამართლის მივლინება ხდებო-

[74] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლი.
[75] იქვე, 41-ე მუხლი.
[76] იქვე, მე-2 პუნქტი.
[77] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13[1] მუხლის მე-11 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WmWN0S, განახლებულია: 14.02.2021.
[78] იქვე, მე-8 პუნქტი.
[79] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №948/3497-03-ო წერილი.
[80] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმი.

და; საჭირო გახდა მოსამართლის თანხმობა, რაც პოზიტიურად შეფასდა, მით უფრო, იმ ფონზე, რომ წლების განმავლობაში მივლინება მოსამართლეთა დასჯის მექანიზმად გამოიყენებოდა.[81] 2021 წლის 30 დეკემბერს ნაჩქარევად მიღებული ცვლილებების შედეგად, ეს პოზიტიური გარანტიები მთლიანად შეიცვალა: ა) საბჭოს მოსამართლის თანხმობის გარეშე შეუძლია მიავლინოს იგი 2 წლით. ეს ვადა, შესაძლოა, კიდევ ორი წლით გაგრძელდეს;[82] ბ) შესაძლებელი ხდება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში.[83] გარდა ამისა, უქმდება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება ხდებოდა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი სასამართლოდან. მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შესაძლებელია მართლმსაჯულების ინტერესის მოტივით და საბჭოს კონკრეტული გარემოებების მითითება, რა შეიძლება მოიაზრებოდეს ამ ტერმინში, აღარ ევალება.

დეკემბრის ცვლილებები საბჭოს ძალაუფლებას კიდევ უფრო ზრდის და ინდივიდუალურ მოსამართლეს მეტად მოწყვლადს ხდის.

2.6. სკოლაში მსმენელთა მიღება

კანონით, მსმენელთა მისაღებ კონკურსს სკოლა ატარებს.[84] მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებისა, რომელსაც სამოქალაქო სექტორი, წლებია, ითხოვდა,[85] კვლავ პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. კერძოდ:

- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან;[86]
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს დამატებით კიდევ 2 წევრს აკადემიური კვოტიდან.[87]

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის კვოტიდან (სულ 3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.[88]

საბჭოს წევრ დიმიტრი გვრიტიშვილს ივლისში წევრობის უფლებამოსილების ვადა გაუვიდა. 4 ნოემბერს საბჭომ იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ის აირჩია,[89] რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოს გავლენებს

---

[81] ციმაკურიძე ე. მეზვრიშვილი ქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2016 წელი, გვ. 44-45, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/0P5Lf1m, განახლებულია: 25.02.2022.

[82] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[83] იქვე.

[84] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{14}-ე მუხლი.

[85] ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7.

[86] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^3 -ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[87] იქვე.

[88] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^3 -ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[89] „დ. გვრიტიშვილის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ”, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის №1/183 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pA5u58U, განახლებულია: 12.03.2022.

იუსტიციის სკოლაზე და ერთი და იმავე პირების როტაციის პრაქტიკას მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

მსმენელთა შედინების პროცესზე იუსტიციის საბჭოს როლის შესამცირებლად, ასევე სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შიდაორგანიზაციული თავისუფლებისთვის, უმჯობესია, მისი წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის უფლება თავად სკოლის საბჭოს მიენიჭოს.

მართლმსაჯულების „მეოთხე ტალღის" ცვლილებებით, სკოლაში მისაღები კონკურსის ფორმა, მსმენელობის კანდიდატთა რეგისტრაცია და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები სკოლამ უნდა მოაწესრიგოს თავისი წესდებით.[90] საანგარიშო პერიოდში ამ უკანასკნელს წესდებაში კონკურსის ჩატარების ახლებური რეგულირება არ შემოუთავაზებია.[91] **სკოლამ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცესს, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შედინებას.**

საანგარიშო პერიოდში სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვა არ მომხდარა.[92]

2.7. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინირება

კონსტიტუციური რეფორმის შედეგად, საბჭოს უზენაესი სასამართლოს წევრების ნომინირების უფლებამოსილება მიენიჭა,[93] რაც ძალიან მალე მართლმსაჯულების მთავარ თავსატეხად იქცა. ყველაფერი 2018 წელს დაიწყო, როცა საბჭომ საკანონმდებლო ორგანოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა 10-კაციანი სია ყოველგვარი პროცედურის გარეშე წარადგინა.[94] შემდგომში განვითარებული მოვლენების, საზოგადოების პროტესტისა და საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლის გამო, ხელისუფლება იძულებული გახდა, საკანონმდებლო ცვლილებები გაეტარებინა. შედეგად, საბჭოს ეს კომპეტენცია დაზუსტდა და პროცედურები დაიხვეწა, თუმცა ამას არსებითი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. მარტში მმართველმა გუნდმა უზენაესი სასამართლოს ნომინირების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ეს პროცესი მწვავე პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. ხელისუფლების განცხადებით, ცვლილებები ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა. კანონში ჩაიწერა, რომ: ა) კანდიდატების საჯარო მოსმენა თანასწორობის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს; ბ) კანდიდატების შეფასება და მათი დასაბუთება, საბჭოს წევრთა ვინაობის ჩათვლით, გახდა საჯარო; გ) გაუქმდა კენჭისყრა, რომლის მიზანიც კანდიდატების ვაკანსიის რაოდენობამდე შემცირება იყო. შერჩევის შემდეგ ეტაპზე გადავლენ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებაში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები; დ) პარლამენტს წარედგინება ის კანდიდატი, რომელიც საბჭოს წევრთა

[90] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{14}-ე მუხლი.
[91] იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2021 წლის 14 დეკემბრის №02/2924 წერილი.
[92] იქვე.
[93] საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლი, საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 16 დეკემბერს.
[94] ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7.

2/3-ის მხარდაჭერას მიიღებს. თითოეული კანდიდატის შესარჩევად ღია კენჭისყრა გაიმართება; ე) დადგინდა გასაჩივრების შესაძლებლობა საკვალიფიკაციო პალატაში.

პროცედურების დახვეწამ, დასაბუთების საჯაროობამ, გასაჩივრების შესაძლებლობამ და გამჭვირვალობის მაღალმა ხარისხმა „კლანს“ და მასთან გარიგებულ სახელისუფლებო გუნდს ლოიალურად განწყობილი მოსამართლეები შერჩევაში ხელი ვერ შეუშალა. ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოველგვარი პროცედურული გაუმჯობესება ფუჭია, თუ სისტემის შიგნით მართვის სადავეები ერთ გუნდს აქვს მონოპოლიზებული, ხელისუფლება კი მას მხარს უჭერს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მკაფიო ხდება, რომ ეს პოლიტიკური ძალაუფლების საკითხია და არა - სამართლებრივი პროცედურების.

პოლიტიკურ პარტიათა შორის 19 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთი საკითხი სწორედ მართლმსაჯულება იყო.[95] დოკუმენტის შესაბამისად, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე, პარლამენტს უნდა დაეწყო ამბიციური სასამართლო რეფორმა.[96] თუმცა, ეს ასე არ მოხდა. მმართველმა პარტიამ სცადა, ფრაგმენტული, დოკუმენტის ხელმოწერამდე მიღებული ცვლილებები შეთანხმების შესრულებად წარმოეჩინა,[97] რითაც, პრაქტიკულად, უარი თქვა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

ამ ფონზე კოალიციამ საზოგადოებას სასამართლოს რეფორმის ახალი ხედვა წარუდგინა, რომელიც კონსენსუსზე ორიენტირებულ მიდგომას გულისხმობდა.[98] ამ ხედვის მიხედვით, საბჭო მოსამართლეთა დანიშვნის გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ორმაგი 2/3-ის პრინციპით (საბჭოს მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა). „კონსენსუსის ლოგიკა უნდა გაძლიერდეს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის ეტაპზეც. უნდა ამოქმედდეს ბილატერალური დანიშვნის მექანიზმი, რაც ოპოზიციის თანხმობის გარეშე საკასაციო ინსტანციის დაკომპლექტებას გამორიცხავს“.[99]

2.7.1. *9 ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - პირველი შერჩევა*

პოლიტიკური კრიზისისა და კანონში ნაჩქარევად შეტანილი ცვლილებების ფონზე, არსებულ 11 ვაკანსიაზე მიმდინარეობდა სამი კონკურსი, რომლებიც 2020 წელს გამოცხადდა:

---

[95] President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties, EU-ს ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/8TPJOAq, განახლებულია: 02.12.2021.

[96] იქვე.

[97] „ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე და შალვა პაპუაშვილი - შემაშფოთებელია, რომ ცალკეული ჩინოსნების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, სტრატეგიულ ქვეყნებს შეთანხმების შესრულებაზე დამახინჯებული ინფორმაცია მიეწოდება“, IPN-ის ვებგვერდი, 2021 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/nmmcapjs, განახლებულია: 02.12.2021.

[98] „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/9YhJXeS, განახლებულია: 02.12.2021.

[99] იქვე.

- კონკურსი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ცხრა ვაკანსიაზე, რომელზეც 50 კანდიდატი დარეგისტრირდა;
- კონკურსი ერთ ვაკანსიაზე, რომელზეც 22 კანდიდატი დარეგისტრირდა.
- კონკურსი კიდევ ერთ ვაკანსიაზე, რომელზეც 25 კანდიდატი დარეგისტრირდა.[100]

1-ლი აპრილის ცვლილებებით, დაინტერესებულ მოსამართლეებს განაცხადების დამატებით წარდგენის შესაძლებლობა მიეცათ,[101] რომლითაც სულ სამმა მათგანმა ისარგებლა. 9 ვაკანსიაზე მიმდინარე კონკურსზე კიდევ ორი კანდიდატი დარეგისტრირდა. შესაბამისად, კონკურსში სულ 52 პირი მონაწილეობდა: 41 - სამოსამართლო გამოცდილებით, 11 - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე. გასაუბრებები საბჭოში 2020 წლის 10 დეკემბრიდან 27 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა. ამ პერიოდში 11-მა პირმა კანდიდატურა თავად მოხსნა,[102] 2 კი - საბჭომ, გამოუცხადებლობის გამო.[103] პროცესის დასრულების შემდეგ კიდევ 6-მა პრეტენდენტმა თქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე.[104]

თითო გასაუბრება საშუალოდ 3-4 საათი გრძელდებოდა. ინტერესთა კონფლიქტის გამო, გასაუბრებებს არ დასწრებია ირაკლი შენგელია (კონკურსში მონაწილეობდა მისი ცოლის ძმა ლევან თევზაძე). აცილების თაობაზე მას ჯერ კიდევ წინა კონკურსის დროს მოუწოდებდა სამოქალაქო სექტორი,[105] თუმცა მაშინ მან ეს არ გააკეთა.

გასაუბრებების პირდაპირ ჩვენებას საბჭო იუთუბის მეშვეობით უზრუნველყოფდა. საბოლოოდ, 31 მაისს 32 კანდიდატის შეფასება გამოქვეყნდა.[106] ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია ნაზი ჯანეზაშვილს, რომელიც მხარს კონკურსის შეჩერებას უჭერდა და ითხოვდა მის ჩატარებას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის სრულყოფის შემდეგ.[107] გამოქვეყნებული შეფასებების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი, ძირითადად, შაბლონური იყო; დასაბუთება არ მოიცავდა კანდიდატის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მათი პიროვნული მახასიათებლების სიღრმისეულ, კონკრეტიზე-

---

[100] „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველები კანდიდატებად დარეგისტრირდნენ“, 2020 წლის 21 დეკემბერი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/SYkVfl7, განახლებულია: 03.12.2021.

[101] „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველები კანდიდატებად დარეგისტრირდნენ“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/EYk4upJ, განახლებულია: 03.12.2021.

[102] გიორგი გოგიჩაიშვილი, თათია გოგოლაური, ნიკოლოზ დგებუაძე, ნინო ჩახნაშვილი, ნინო ნიშნიანიძე, ნინო ონიანი, გიზო უბილავა, მადი ჩანტლაძე, ნანა ჭიჭილეიშვილი, ლეილა ფოლადიშვილი, ეკატერინე შენგელია.

[103] პაატა შავაძე და მარინე ჭყონია.

[104] ილონა თოდუა, ვეფხია ლომიძე, მერაბ ლომიძე, პაატა სილაგაძე, შორენა წიქარიძე, ამირან ძაბუნიძე.

[105] „კოალიცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესს აფასებს“, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dGCyDE, განახლებულია: 12.03.2022.

[106] უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/wYlz1tS, განახლებულია: 03.12.2021.

[107] „ნაზი ჯანეზაშვილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შეჩერებას ითხოვს“, პირველი არხის ვებგვერდი, 2021 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/FA5YKh4, განახლებულია: 14.03.2022.

ბულ გამოკვლევას; გაუგებარი იყო, რა სტანდარტით იხელმძღვანელა საბჭომ კანდიდატების შეფასებისას.[108]

საბჭოს 1-ლი ივნისის განკარგულებით, მიღებული ქულებისა და შეფასებების გათვალისწინებით, შემდეგ ეტაპზე 9 კანდიდატი გადავიდა.[109] კენჭისყრის შედეგად, რომელშიც იუსტიციის საბჭოს 12 წევრი მონაწილეობდა, პარლამენტს 9 კანდიდატი წარედგინა.[110]

2021 წლის 12 ივლისს პარლამენტმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი, შარლ მიშელის შეთანხმების შესაბამისად, უნდა შეჩერებულიყო, 6 მოსამართლე თანამდებობაზე დანიშნა.[111] ამ ფაქტს ევროკავშირისა[112] და აშშ-ის საელჩოს[113] მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. OSCE/ODHIR-ის ანგარიშის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები ისეთ გარემოში დასახელდნენ, რომელშიც დაბალი იყო საზოგადოებრივი ნდობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიმართ.[114] მმართველმა ძალამ არ გაითვალისწინა კონტექსტი, პარტნიორების მოწოდებები, ექსპერტული შეფასებები, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასამართლოს დამოუკიდებლობას და გაამყარა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის - „კლანის“ პოზიციები უზენაეს სასამართლოში. ასეთი შეფასებების მიუხედავად, საბჭომ და პარლამენტმა კვლავ გააგრძელეს მოსამართლეთა ნომინირება-დანიშვნა უზენაეს სასამართლოში არსებულ ვაკანსიებზე.

12 ნოემბერს საბჭომ სამ ვაკანსიაზე, უკვე არსებული სიიდან, პარლამენტს კიდევ სამი მოსამართლე წარუდგინა, რაც კანონდარღვევით განახორციელა. კანონის თანახმადაც, თუ პარლამენტი კანდიდატს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვერ აირჩევს, დარჩენილ ვაკანსიებზე არსებული სიიდან კანდიდატების წარდგენა ორი კვირის ვადაში უნდა მოხდეს.[115] პარლამენტმა 9 ვაკანსიაზე 6 მოსამართლე 12 ივლისს დანიშნა, შესაბამისად, ორკვირიანი ვადის ათვლა სწორედ ამ რიცხვიდან უნდა მომხდარიყო. ეს საბჭომ არ გაითვალისწინა და კანდიდატები პარლამენტში ოთხი თვის დაგვიანებით წარადგინა.

---

[108] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა თვითნებურად და უსამართლოდ მიმდინარეობს“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2021 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/TYztRek, განახლებულია: 02.12.2021.

[109] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/2YlbySC, განახლებულია: 03.12.2021.

[110] გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე, ლაშა ქოჩიაშვილი.

[111] „პარლამენტმა უზენაეს სასამართლოში 6 მოსამართლე უვადოდ დანიშნა“, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2021 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pTPJMCP, განახლებულია: 02.12.2021.

[112] მოსამართლეების დანიშვნა და ევროკომისიის განცხადება, პირველი არხის ვებგვერდი, 2021 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/TTPKyWA, განახლებულია: 03.12.2021.

[113] იქვე.

[114] საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მესამე ანგარიში, OSCE დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5TPLlGc, განახლებულია: 03.12.2021.

[115] საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს ორგანულის კანონის 34[1]-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

2.7.2. *ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - მეორე შერჩევა*

29 ივნისს ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატებთან საბჭომ გასაუბრებები დაიწყო და დღეში ორ, ჯამში კი, 6 პირს გაესაუბრა. შეხვედრები 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. 15 ივლისს საბჭომ 5 კონკურსანტის შეფასება გამოაქვეყნა.[116] დიმიტრი გვრიტიშვილმა კანდიდატურა მოხსნა.[117] შემდგომ ეტაპზე, საბჭოს წევრების შეფასებებისა და ქულების მიხედვით, გენადი მაკარიძე გადავიდა. 23 ივლისს საბჭომ გენადი მაკარიძის კანდიდატურა პარლამენტს წარუდგინა.[118]

პარლამენტმა საბჭოს მიერ წარდგენილ 4 კანდიდატთან 25-26 ნოემბერს ჩაატარა გასაუბრებები.[119] 1-ელ დეკემბერს კომიტეტმა ოთხივეს მხარი დაუჭირა და იმავე დღეს პლენარულ სხდომაზე მმართველმა ძალამ უზენაეს სასამართლოში 4 ახალი მოსამართლე განაწესა უვადოდ.[120]

2.7.3. *ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი - მესამე შერჩევა*

12 ნოემბერს საბჭომ უზენაეს სასამართლოში წინა წელს გამოცხადებულ კიდევ 1 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის ნომინირებისთვის გასაუბრებები დაიწყო, რომლებიც 12, 15, 16 ნოემბერს მიმდინარეობდა. საბჭო სულ 5 კანდიდატს გაესაუბრა. აქედან 4 უზენაეს სასამართლოში მანამდე არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსებშიც მონაწილეობდნენ. 20 დეკემბრის სხდომაზე, საბჭოს წევრთა ქულებისა და შეფასებების შედეგად, მომდევნო ეტაპზე ამირან ძაბუნიძე გადავიდა. იმავე სხდომაზე საბჭოს 10-ვე წევრმა პარლამენტში მისი კანდიდატურის ნომინირებას მხარი დაუჭირა.[121]

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ამირან ძაბუნიძეს 28 დეკემბერს მოუსმინა, ხოლო 29 დეკემბერს, 79 ხმით 10-ის წინააღმდეგ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მის არჩევას მხარი დაუჭირა.[122]

პროცესებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მოქმედ ნორმატიულ ჩარჩოში ნებისმიერი ჩარევა, რომელიც არ დაუპირისპირდება გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისა და მისი მფარველი ხელისუფლების

---

[116] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xYlEbxy, განახლებულია: 03.12.2021.

[117] იქვე.

[118] „პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატი“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 23 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/IFaW1H, განახლებულია: 02.04.2022.

[119] „დიმიტრი გვრიტიშვილმა კანდიდატურა მოხსნა“, „ნეტგაზეთის“ ვებგვერდი, 2021 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/6FaETrc, განახლებულია: 02.04.2022.

[120] „პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე აირჩია“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/DYzi0qh, განახლებულია: 03.12.2021.

[121] „პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატი“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 20 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/JSui21K, განახლებულია: 14.03.2022.

[122] პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე აირჩია, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2021 წლის 29 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pSuozmM, განახლებულია: 14.03.2022.

წისქვილზე ასხამს წყალს. ისინი კი, როგორც ხარვეზებს, ისე პოზიტიურ სიახლეებს საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად იყენებენ.[123] ამ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოა არსებითი და გადამწყვეტი რეფორმების საჭიროება სასამართლო სისტემაში. აუცილებელია ცვლილებები, რომლებიც კონსენსუსზე იქნება დაფუძნებული, აღმოფხვრის „კლანურ“ მმართველობას და მართლმსაჯულებას სანდოობას დაუბრუნებს. **შესაბამისად, საიას აზრით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით, ხოლო პარლამენტში კანდიდატის მხარდაჭერა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კონსენსუსით უნდა ხდებოდეს.**

[123] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, გვ. 7.

3. ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეები

3.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები

სასამართლოს თავმჯდომარეები სისტემაში პრივილეგირებულ ჯგუფს განეკუთვნებიან და, საბჭოსთან ერთად, მოსამართლეთა გასაკონტროლებელ მთავარ ძალას ქმნიან.[124] მათ გავლენას ის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებიც განაპირობებს, რომლებიც კანონით ან საბჭოს მიერ აქვთ მინიჭებული. საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, საქმეებს თავმჯდომარე აღარ ანაწილებს,[125] თუმცა კვლავ პრობლემურია უფლებამოსილება, რომლის მეშვეობითაც, მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მოტივით, მას შეუძლია, მოსამართლეს დაავალოს: (1) სხვა პალატასა ან საგამოძიებო კოლეგიაში, ანდა სპეციალიზებულ შემადგენლობაში საქმის განხილვა; (2) მაგისტრატი მოსამართლეობა; (3) ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს - მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ საქმიანობა.[126]

პრობლემურია თავმჯდომარეების როლი ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეების დანიშვნისას. ამ საკითხს კანონი არ აწესრიგებს. დადგენილი პრაქტიკით, 2006 წლიდან ვიწრო სპეციალიზაციებში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს 2018 წელს ეს უფლებამოსილება საბჭომ მიანიჭა.[127] ამგვარი რეგულირება მანიპულირების რეალურ რისკებს წარმოშობს, მით უფრო სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმე უმეტესად სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობით განიხილება, ხოლო საქმის განაწილებისას ელექტრონული პროგრამა კოლეგიური შემადგენლობიდან მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეს ავლენს. დანარჩენი ორის ვინაობას მომხსენებელი მოსამართლე არჩევს. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეგია გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს, თავმჯდომარისთვის ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა მარტივად გადაადგილების უფლების მინიჭება ზრდის კოლეგიის შემადგენლობის ფორმირების პროცესში ჩარევის ალბათობას.[128] **საია მიიჩნევს, რომ საქმის კოლეგიურად განხილვისას სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესით, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციაში - წილისყრით უნდა ხდებოდეს.**

---

[124] „მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შეწყვიტოს სასამართლოებში თავმჯდომარეების დანიშვნა სუბიექტური შეხედულების საფუძველზე“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის 2018 წლის 26 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35e1M89, განახლებულია: 05.02.2022.

[125] საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის №1/56 გადაწყვეტილება, მე-3 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ggqJVo, განახლებულია: 06.02.2022.

[126] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[127] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება, მე-9 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TBquug, განახლებულია: 06.02.2022.

[128] „კოალიციამიხეილ ჩინჩალაძისთვისუფლებამოსილებისგაზრდასსაქმეთაშემთხვევითიგანაწილების პრინციპის საფრთხედ აფასებს“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2018 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3107n0q, განახლებულია: 06.02.2022.

3.2. სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევა

პირველ და მეორე ინსტანციაში სასამართლოს თავმჯდომარეს საბჭო ნიშნავს.[129] მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მოსამართლეების მიერ მათი შერჩევის დებულებამ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ჩანაწერს „მესამე ტალღის“ ცვლილებების თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა და ვენეციის კომისიამ მოიწონა კიდეც,[130] გავლენიანი მოსამართლეების ზეწოლის შედეგად, ის კანონში აღარ აისახა. საბოლოოდ, მხოლოდ ჩაიწერა, რომ საბჭო თანამდებობაზე პირის განწესებისას იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ხოლო მანამდე შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან მართავს კონსულტაციებს,[131] რომლის შედეგები, ცხადია, სავალდებულო არ არის.

წლებია, არ იცვლება თავმჯდომარეთა დანიშვნის ბუნდოვანი პრაქტიკა და წესი. მენეჯერულ პოზიციებს სისტემაში, ძირითადად, ერთი და იგივე პირები იკავებენ. ისინი ამ თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან, რაც სხვა მოსამართლეებს არ აძლევს სასამართლოს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობას.[132] ამ მოსაზრების ილუსტრაციაა სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა დანიშვნასთან დაკავშირებით დადგენილი პრაქტიკა.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე ბოლნისის რაიონული და ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლები დანიშნა. მათგან ამირან ძაბუნიძეს და ჯუმბერ ბეჟანიძეს სხვადასხვა დროს უკვე ეკავათ ეს პოსტები სხვა სასამართლოებში. ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი გრატიაშვილისთვის კი ეს პირველი მენეჯერული პოზიციაა.

საბჭომ სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარედ/მოვალეობის შემსრულებლად 9 პირი დანიშნა. 8-ს სხვადასხვა დროს სისტემაში მნიშვნელოვანი მენეჯერული პოზიციები ეკავა.

ბოლო წლებში დადგენილი პრაქტიკის მიხედვით,[133] თავმჯდომარის ვაკანსიის არსებობისას განცხადება სასამართლოს შიდა ქსელში ქვეყნდება. მიუხედავად ამისა, პროცესი, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა. ამის მაგალითია საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული კონკურსები. თითოეულ პოზიციაზე მხოლოდ ერთი განაცხადი იყო წარდგენილი.

1-ლი ივნისის სხდომაზე საბჭომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნაზე იმსჯელა. 2020 წლის 20 დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც ვასილ მშვე-

---

[129] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 32-ე მუხლები.

[130] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), JOINT OPINION OF THE VENICE COMMISSION AND THE DIRECTORATE OF HUMAN RIGHTS (DHR) OF THE DIRECTORATE GENERAL OF HUMAN RIGHTS AND RULE OF LAW (DGI) OF THE COUNCIL OF EUROPE ON THE DRAFT LAW ON AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON GENERAL COURTS OF GEORGIA, CDL-AD(2014)031, Strasbourg, 14 October 2014, p. 84. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1O1EwQw, განახლებულია: 08.02.2022.

[131] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[132] ვრცლად იხ. „ვიწრო წრე - სასამართლოში მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა განაწილება“, ხელმისაწვდომია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zA9YrTm, განახლებულია: 12.03.2022.

[133] 2018 წლამდე კანდიდატებს საბჭოს წევრები ასახელებდნენ.

ნიერაძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეობიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დაბრუნდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამირან ძაბუნიძე დაინიშნა. თავმჯდომარის ვაკანსიაზე კონკურსი საბჭომ 19 მარტს გამოაცხადა. მასში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ამირან ძაბუნიძემ გამოთქვა.[134] 1-ლი ივნისის სხდომაზე საბჭომ ამირან ძაბუნიძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა. მანამდე ონლაინრეჟიმში კონსულტაციები გამართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან, თუმცა შეხვედრა დახურულ ფორმატში ჩატარდა.[135] კონსულტაციების დახურვა, მით უფრო იმ პირობებში, როცა საბჭოს ევალება თავმჯდომარის დანიშვნის გადაწყვეტილების დასაბუთება, ვერ პასუხობს სისტემის მიმართ ნდობის ამაღლების მიზანს.

წინა საანგარიშო პერიოდში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი განაცხადის არსებობის შემთხვევაში საბჭო გასაუბრებას არ ატარებდა და კანდიდატურა პირდაპირ კენჭისყრაზე დგებოდა. ამგვარი მიდგომა საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საბჭომ, ყოველგვარი კონკურენციისა და გასაუბრების გარეშე, 6 აგვისტოს სხდომაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი გრატიაშვილი, 1-ლი დეკემბრის სხდომაზე კი ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ჯუმბერ ბეჟანიძე დანიშნა.

საია მიიჩნევს, რომ თავმჯდომარეები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა თავად უნდა აირჩიონ. ეს, გარდა იმისა, რომ საბჭოს გამოაცლის გავლენის მნიშვნელოვან ბერკეტს, ასევე ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებას.

3.3. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა

კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს საბჭო ამავე სასამართლოს მოსამართლეთაგან, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 5 წლის ვადით ნიშნავს.[136] 2020 წელს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნული ირაკლი შენგელია საბჭომ მისივე განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა და ინტრანეტში ვაკანსიის თაობაზე ინფორმაცია განათავსა. როგორც განკარგულებიდან ირკვევა, ამ თანამდებობის დაკავების სურვილი არცერთმა მოსამართლემ არ გამოთქვა. შედეგად, საბჭომ მოადგილის მოვალეობის შესრულება კვლავ დაავალა ირაკლი შენგელიას, რომელიც, წლებია, სისტემაში მენეჯერულ თანამდებობებზე მუშაობს.[137]

მოადგილის ძირითადი ფუნქცია თავმჯდომარის არყოფნის დროს მისი უფლებამო-

[134] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1-ლი ივნისის სხდომის ოქმი.
[135] იქვე.
[136] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
[137] „ი. შენგელიასთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოადგილის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №1/135 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/JSuq9Wb, განახლებულია: 14.03.2022.

სილებების განხორციელებაა.[138] **მოსამართლეთა შორის იერარქიის კიბის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, გაუქმდეს მოადგილის თანამდებობა და, საჭიროების შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა ერთ-ერთმა მოსამართლემ შეასრულოს.**

3.4. პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა

კანონმდებლობით, პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საბჭო.[139] კანონით არ არის განსაზღვრული მათი უფლებამოსილებები და, პრაქტიკულადაც, მათი ფუნქციური საჭიროება არ არსებობს. ასევე არ არის გაწერილი, რა შემთხვევაში ინიშნებიან მოვალეობის შემსრულებლები.

საანგარიშო პერიოდში დაინიშნნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეები. მათ სასამართლო სისტემაში, წლებია, მენეჯერული თანამდებობები უკავიათ. პრაქტიკაზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, როგორ ენაცვლებიან ერთმანეთს ერთი და იგივე მოსამართლეები მენეჯერულ პოზიციებზე. საიას აზრით, თანამდებობების არსებობის მიზანი მოსამართლეთა შორის იერარქიული კიბის გამყარება და გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალურად განწყობილ პირთა ამბიციების დაკმაყოფილებაა. **ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლის) პოზიციები გაუქმდეს.**

2019 წელს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, 2021 წელსაც ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი განაცხადის არსებობის შემთხვევაში საბჭო გასაუბრებას არ ატარებდა და კანდიდატურა პირდაპირ კენჭისყრაზე დგებოდა. საბჭოს არამოსამართლე წევრების მხრიდან გასაუბრების საჭიროებაზე არაერთგზის მითითების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში ამგვარი მიდგომა კვლავ გაგრძელდა.

7 სექტემბერს საბჭომ კონკურსი გამოაცხადა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის ვაკანსიაზე. ეს პოზიცია ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც ლევან თევზაძე პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშნა. ამ შემთხვევაშიც საბჭომ მანიპულაციის ძველ, ნაცად ხერხს მიმართა: 7 სექტემბრის სხდომაზე პაატა სილაგაძეს შეუცვალა სპეციალიზაცია, საგამოძიებო საქმეთა კოლეგიიდან სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გადაიყვანა და 14 სექტემბრის სხდომაზე, ყოველგვარი კონკურენციისა და გასაუბრების გარეშე, ის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ განაწესა.[140]

ამგვარადვე დაინიშნნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 4 კოლეგიის თავმჯდომარეებიც. საბჭომ 24 მარტს დააინიცირა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-

[138] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[139] იქვე, 23 -ე მუხლის მე-5 და 30-ე მუხლის მე-4 პუნქტები.
[140] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმი.

მინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეების კონკურსი.[141] ამავე სხდომაზე სერგო მეთოფიშვილი გადაიყვანეს სამოქალაქოდან ადმინისტრაციულ კოლეგიაში, ხოლო ბადრი შონია - ადმინისტრაციულიდან სამოქალაქოში. შესაბამისად, 5 აპრილის სხდომაზე სერგო მეთოფიშვილი დაინიშნა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, ხოლო ბადრი შონია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ.[142] მათ კონკურენტი არ ჰყოლიათ. საკითხის განხილვისას არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა იკითხა, რამ განაპირობა კოლეგიებისა და თანამდებობების ამგვარი გაცვლა. მდივანმა უპასუხა, რომ მათ ამის უფლება ჰქონდათ, სხვა ინფორმაციას კი არ ფლობდა. [143]

10 სექტემბრის სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია ორ ნაწილად გაიყო: სისხლის სამართლის საქმეთა და საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიებად.[144] 2017 წელს, როცა ამ კოლეგიების გაერთიანება მოხდა, კოალიციამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ და თვითნებურად მიიჩნია, ვინაიდან ცვლილება კანონის გვერდის ავლით სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას ემსახურებოდა.[145]

10 სექტემბრის სხდომაზე საბჭომ სერგო მეთოფიშვილი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში გადაიყვანა, 14 სექტემბრის სხდომაზე კი თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების[146] თავმჯდომარეების პოზიციებზე კონკურსი გამოაცხადა.

20 სექტემბრის სხდომაზე გაირკვა, რომ ზემოთ ხსენებულ სამ ვაკანსიაზე შემოსული იყო თითო განცხადება. კანდიდატთან გასაუბრების სურვილი არ გამოუთქვამთ საბჭოს წევრებს. მათ არც კონკურენტი ჰყოლიათ. კენჭისყრის შედეგად, თემურ გოგოხია დაინიშნა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, სერგო მეთოფიშვილი - საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში, ხოლო ვასილ მშვენიერაძე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ განწესდა.[147]

---

[141] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 24 მარტის სხდომის ოქმი.

[142] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი.

[143] იქვე.

[144] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის სხდომის ოქმი.

[145] „კოალიცია მკვეთრად უარყოფითად აფასებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან თვითნებურად გათავისუფლებას“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2017 წლის 26 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F35wew, განახლებულია: 28.04.2022.

[146] ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საქმეთა და საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია.

[147] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 19 სექტემბრის სხდომის ოქმი.

4. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

4.1. საკანონმდებლო ხარვეზები

2021 წლის 30 დეკემბერს პარლამენტმა საზოგადოების ჩართულობის გარეშე, დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც, სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, მოიცავდა დისციპლინური გადაცდომისა და სახდელის დამატების საკითხებს, დისციპლინური სამართალწარმოების ვადებისა და გადაწყვეტილების მიღების კვორუმის შემცირებას, ასევე, საქმეების განხილვისგან მოსამართლეთა ჩამოცილების ახლებურ რეგულაციას.[148] თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოს შიგნით არ არის წახალისებული განსხვავებული აზრის არსებობა და ყოველგვარ ასეთ გამოვლინებაზე საბჭო უარყოფითად რეაგირებს, რიგგარეშე სესიაზე დაჩქარებულად შეტანილი ცვლილებები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ისინი მიმართული იყო ინდივიდუალური მოსამართლეების წინააღმდეგ, სისტემაში განსხვავებული აზრის ჩასახშობად.

პრობლემად რჩება საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევის დებულება,[149] რომლის მიხედვითაც, საკმარისია მხოლოდ მოსამართლე წევრების მხარდაჭერა, რაც არამოსამართლე წევრებს პროცესების მიღმა ტოვებს. მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა, რათა ეს ინსტიტუტი საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდეს. მხოლოდ მოსამართლე წევრების მიერ არჩევის შესაძლებლობა კი ინსპექტორის დამოუკიდებლობას მოწყვლადს ხდის. **ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3 განისაზღვროს.** ასევე ხარვეზიანია საბჭოს მიერ დადგენილი წესი ინსპექტორის შერჩევის თაობაზე, რომელიც არ განსაზღვრავს არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.[150] არ არის დადგენილი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და რეგულაცია, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასება და მისი დასაბუთება). **აუცილებელია, საბჭომ გააუმჯობესოს ინსპექტორის შერჩევის წესი.**

4.2. ინსპექტორის დასკვნები

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას უზრუნველყოფს ინსპექტორი,[151] რომელიც დასკვნებსა და მოსაზრებებს საბჭოს წარუდგენს.[152] 2021 წლის 30 დეკემბერს დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით, დისციპლინური სამართალწარმოების ორთვიანი ვადები განახევრდა, წინასწარი მოკვლევის ვადად, 2 თვის ნაცვლად, განისაზღვრა 1

[148] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H4es2s, განახლებულია: 19.02.2022.

[149] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[150] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 27^2-ე მუხლი.

[151] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^6-ე მუხლი.

[152] იქვე.

თვე, რომელიც, შესაძლოა, 2 კვირით გაგრძელდეს.[153] განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ვადების შემცირება (განახევრება) სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. ამის საპირისპიროდ, პრაქტიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ვადის დაცვით წარდგენილი დასკვნების შემთხვევაშიც კი,[154] საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების ვადები სრულად უგულებელყოფილია.

ინსპექტორის სამსახურმა 2021 წელს ფორმის დაცვით 155 საჩივარი მიიღო, ხოლო ფორმის დაუცველად - 74.[155] 179 საჩივრიდან (აქედან 28 2019 წელს იყო შესული), ინსპექტორის გადაწყვეტილებით, 8 პირს დაუდგინდა ხარვეზი და მის გამოსასწორებლად ვადა მიეცა.[156] 2018-2021 წლებში საბჭოს გადაეცა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 401 დასკვნა.[157] როგორც გამოთხოვნილ მასალებშია მითითებული, ინსპექტორი საბჭოს აწოდებს ინფორმაციას დასკვნებზე მუშაობის შესახებ, ხოლო თავად დასკვნებს მას შემდეგ გადასცემს, რაც სხდომა დაინიშნება. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ინსპექტორის მიერ მომზადებულია 247 დასკვნა, რომლებზეც საბჭოს არ უმსჯელია.[158] როგორც საქმეების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებიდან ჩანს, საბჭოს 2021 წელს შესული საჩივრები არ განუხილავს, რაც, თავის მხრივ, ამ პროცესის არაეფექტიანობასა და „მესამე ტალღით“ დადგენილი საქმისწარმოების ვადების უგულებელყოფაზე მიუთითებს.[159] ამ ფონზე ვადების განახევრება რამდენად შეუწყობს ხელს დისციპლინური საჩივრების დროულად განხილვას, 2022 წლის საბჭოს მონიტორინგისას გამოჩნდება. მანამდე კი, მნიშვნელოვანია, ინსპექტორის აპარატმა და საბჭომ დისციპლინური სამართალწარმოებისთვის დადგენილი ვადები დაიცვან.

4.3. საბჭოს გადაწყვეტილებები

ინსპექტორის მიერ საქმეზე დასკვნისა და მოსაზრების წარდგენის შემდეგ საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას („დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტით[160]) დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამო-

---

[153] იქვე, 75[7]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[154] დისციპლინური სამართალწარმოების ვადების დარღვევა ინსპექტორის ეტაპზეც შესამჩენია. მაგ: №34/20 დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ჩანს, რომ 2020 წლის 5 მარტის საჩივარზე დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვა მომზადებულია 4 ივნისს. ინსპექტორს დასკვნა წარდგენილი აქვს სამ თვეში. #190/19-2 ; 74-20 ; 6/20, 156-19 გადაწყვეტილებებშიც იგივე მოცემულობაა. ამასთან, შეწყვეტის გადაწყვეტილებებს თუ გადავხედავთ დასკვნების უმრავლესობა ზუსტად ორი თვეშია წარდგენილი. მაგ: #95/20; 107/20; 93/20; 88/20; 84/20; 80/20;74/20; 59/20; 55/20;46/20;45/20; 44/20, მაშინ როდესაც კანონის შესაბამისად (საანგარიშო პერიოდში მოქმედი) 2 თვეში (ორი კვირით შესაძლოა გაგრძელდეს) მთლიანად დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დასრულდეს (თუ ახსნა-განმარტების ჩამორთმევა არ ხდება).

[155] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2022 წლის 28 იანვრის №44/106-03-ო წერილი.

[156] იქვე.

[157] იქვე.

[158] იქვე.

[159] „დისციპლინური გადაწყვეტილებები“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BDfvpe, განახლებულია: 20.02.2022.

[160] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75[8]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

რთმევის შესახებ.[161] თუმცა, დევნის დაწყებაზე უარის შემთხვევაში მას გადაწყვეტილების დასაბუთება არ ევალება. მნიშვნელოვანია, **დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთდეს.**

საანგარიშო პერიოდში საბჭო დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას ხმათა 2/3-ით იღებდა.[162] ეს მოთხოვნა ბევრ საქმეს განხილვის მიღმა ტოვებს. საბჭოს მონიტორინგის ანგარიშებში **საია მხარს უჭერდა დისციპლინური სამართალწარმოებისას შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას უბრალო უმრავლესობით და მხოლოდ საბოლოო, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა ან საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას - 2/3-ით.[163]** თუმცა, წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებებით, დისციპლინური საქმისწარმოების ყველა ეტაპზე ეს კვორუმი შეიცვალა და განისაზღვრა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას, 2/3-ის ნაცვლად, წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღებს.[164] ამგვარი რეგულირება სამართალწარმოების პროცესს ნდობას ნამდვილად ვერ შემატებს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბჭო 5 არამოსამართლე წევრის გარეშე განაგრძობს მუშაობას. **მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება 2/3-ით მიიღებოდეს და მხოლოდ მოსამართლე წევრების თანხმობა არ იყოს საკმარისი.**

საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, შეუძლია, თავისი განსხვავებული აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს. 2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, არცერთ წევრს ამ უფლებით არ უსარგებლია.[165]

საანგარიშო პერიოდში საბჭომ ჩაატარა ერთი სადისციპლინო სხდომა, რომელზეც დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 50 დასკვნა განიხილა და 56 გადაწყვეტილება მიიღო.[166] ინსპექტორის მიერ მომზადებულ 49 დასკვნაზე შეწყდა სამართალწარმოება. საბჭომ გაითვალისწინა ინსპექტორის მიერ წარდგენილი ყველა დასკვნა, რომლებიც დევნის შეწყვეტას ეხებოდა.[167] საანგარიშო პერიოდში დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის, დისციპლინური საჩივრის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება საბჭოს არ მიუღია, ასევე არ დაუვალებია ინსპექტორისთვის საქმეზე დამატებითი მოკვლევის ჩატარება.[168]

2021 წელს საბჭოში მოსამართლე წევრების მიმართ 5 დისციპლინური საჩივარია შესული, რომლებზეც გადაწყვეტილება საბჭოს ჯერ არ მიუღია.[169] 2021 წელს შესული

---

[161] იქვე.
[162] იქვე.
[163] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წელი, გვ. 30, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QA5FwMf, განახლებულია: 14.03.2022.
[164] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^8-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[165] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2022 წლის 1-ლი თებერვლის №50/105-03-ო წერილი.
[166] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2022 წლის 28 იანვრის №44/106-03-ო წერილი.
[167] იქვე.
[168] იქვე.
[169] იქვე.

საჩივრების 70% პირველი ინსტანციის სასამართლოზე მოდის. საქმეთა კატეგორიის მიხედვით, აქედან 50% სამოქალაქო საქმეებია.[170]

სტატისტიკა მიუთითებს, რომ, მიუხედავად საჩივრების სიმრავლისა, დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმები იშვიათად გამოიყენება. კვლავ პრობლემად რჩება საქმეთა განხილვის გაჭიანურება. დარღვეულია ვადები (2021 წელს შესული არცერთი დისციპლინური საჩივარი არ განხილულა). დისციპლინურ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია საჩივრის დადგენილ ვადაში განხილვა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია საზოგადოების მოლოდინთან, მეორე მხრივ კი - თვით მოსამართლის ინტერესთან, საქმე დროულად დასრულდეს, ვინაიდან გაჭიანურებული დისციპლინური სამართალწარმოება, შესაძლოა, ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ეფექტიან ბერკეტად გადაიქცეს. **ამიტომ, საბჭომ უნდა უზრუნველყოს საჩივრის განხილვისთვის დადგენილი ვადების დაცვა.**

4.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია.[171] ამის გათვალისწინებით, ინსპექტორის მიერ სტატისტიკის (საჩივრების რაოდენობა, გადაცდომის სახეები და სხვა) დროულად გამოქვეყნებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საია ამ კუთხით ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულობას დადებითად აფასებს.

პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც მოსამართლეს მიენიჭა უფლება, მოეთხოვა საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილებოდა, არავინ იყენებს. ცვლილების ამოქმედებიდან დღემდე ამ შესაძლებლობით არავის უსარგებლია.[172] ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით, ეს ჩანაწერი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ბერკეტი აღმოჩნდეს იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც, განსხვავებული შეხედულებების გამო, შეიძლება საბჭოს მხრიდან დასჯის ობიექტები აღმოჩნდნენ.

კანონმდებლობით, დისციპლინური სამართალწარმოებისას მიღებული გადაწყვეტილებები 5 დღის ვადაში ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორს და შესაბამის მოსამართლეს. საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება 49 საჩივრის ავტორს გაეგზავნა.[173]

---

[170] იქვე.

[171] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75^4-ე მუხლი

[172] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2022 წლის 1-ლი თებერვლის №50/105-03-ო წერილი.

[173] იქვე.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზება და გამჭვირვალობა

5.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღით“ დადგინდა საბჭოს ვალდებულება, შეკრებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე გამოაქვეყნოს სხდომის თარიღი და დღის წესრიგი.[174] ეს ვალდებულება მუდმივად ირღვეოდა. საბჭოს არგუმენტით, ვადის დაცვა შეხვედრების ინტენსივობის გამო ვერ ხერხდებოდა.[175] ამჟამად, კანონი ინფორმაციის გამოქვეყნებას სხდომის გამართვამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე ითვალისწინებს.[176] 2021 წლის განმავლობაში სულ 46 სხდომა ჩატარდა, რომელთა შესახებ ინფორმაცია და დღის წესრიგი საჯარო ხდებოდა, ძირითადად, სხდომის წინა დღეს, დღის მეორე ნახევარში. იყო შემთხვევები, როცა ის იმავე დღეს გამოქვეყნდა.[177] საბჭოს მიერ ამ ინფორმაციის წინასწარ განთავსება მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანი მონიტორინგისთვის. **საბჭომ უნდა შეასრულოს კანონის მოთხოვნა და სხდომის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს 3 დღით ადრე.** განსაკუთრებით ნეგატიურად უნდა შეფასდეს ისეთი საკითხების შესახებ ინფორმაციის წინა დღეს გასაჯაროება, რომელთა თაობაზეც მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. მაგალითად, საბჭოს 9 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგი, რომელიც წინა საღამოს გამოქვეყნდა, ითვალისწინებდა პუნქტს ზოგადი ფორმულირებით - „საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები“.[178] არადა, ამ სხდომაზე საბჭომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კონკურსში მონაწილე კანდიდატები შემდგომ ეტაპზე გადაიყვანა.

საბჭოს ვებგვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს. განახლდა მისი დიზაინი. ინფორმაცია სხდომისა და დღის წესრიგის შესახებ მთავარ გვერდზე აღარ იდება, რაც მათ ხელმისაწვდომობას ართულებს.

სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება გულისხმობს განსახილველი თემების იმგვარ ფორმულირებას, რომ დაინტერესებულ პირებს წინასწარ მიეწოდოს საკმარისად კონკრეტული მონაცემები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. წლების მანძილზე ამის რეგულირება პრობლემა იყო. 2018 წლიდან დადგენილი პრაქტიკა პოზიტიურად შეიცვალა და დღის წესრიგი განმარტებებით ქვეყნდებოდა. წინა წელს მხოლოდ ივნისის ჩათვლით მოჰყვებოდა მათ მცირე კომენტარები. შემდეგ კი ეს მიდგომა შეიცვალა. დღის წესრიგის საკითხები ბუნდოვანი და ზოგადი ხასიათისაა (იხ. სურათი). საია მიიჩნევს, რომ უნდა აღდგეს ძველი **პრაქტიკა, რათა საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ ამომწურავად მიიღოს ინფორმაცია სხდომაზე განსახილველი თემების შესახებ.**

---

[174] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[175] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 25 იანვრის №218/127-03-ო წერილი.
[176] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[177] 22 თებერვლისა და 15 მარტის სხდომის შესახებ ინფორმაცია სხდომის დღეს დაიდო ვებგვერდზე.
[178] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 9 დეკემბრის სხდომის ოქმი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი 17:00, 04 ნოემბერი, 2021

1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის რ. კუპრაშვილის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი დეპარტამენტის იურისტის ვ. ბერუჩაშვილის წერილები

მომხსენებელი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

3. იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

ცხრილში ნაჩვენებია, რომ საკითხები დღის წესრიგში ზოგადი ფორმულირებითაა შეტანილი.

5.2. სხდომების მომზადება

რეგლამენტის თანახმად, სხდომებს ამზადებს და წევრებისთვის მასალების დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი, თუმცა არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგს.[179] ასევე მდივანი აგზავნის საბჭოს დოკუმენტაციას დანიშნულებისამებრ,[180] მაგრამ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალების დარიგების ვადა განსაზღვრული არ არის. საბჭოში შესული დოკუმენტები წევრებს ავტომატურად არ ეგზავნებათ.

რამდენიმე შემთხვევაში წევრებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული დო-

[179] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[180] იქვე, „ზ“ ქვეპუნქტი.

კუმენტები სხდომის დღეს მიაწოდეს.[181] მაგალითად, გათავისუფლებული მოსამართლეების რეაბილიტაციის შესახებ კანონპროექტზე მსჯელობისას უკმაყოფილება გამოთქვა არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი სხდომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე აიტვირთა და სათანადოდ გაცნობა ვერ მოასწრო. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა საბჭოს მდივანს, სხდომის დღის წესრიგი კანონით დადგენილ ვადებში გამოექვეყნებინა.[182]

საბჭოში მენეჯმენტის პრობლემაზე მიუთითებდა არაერთხელ გადადებული სხდომები. მაგალითად, 15 მარტის სხდომის შესახებ ინფორმაცია იმავე დღეს გამოქვეყნდა, თუმცა, საბოლოოდ, ის საერთოდ გადაიდო. ასევე გადაიდო 15 და 19 აპრილის სხდომები.

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე გადაიდო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რაც არასათანადო ორგანიზებაზე მიუთითებს. მაგალითად, 16 ივლისის სხდომის დღის წესრიგი სულ სამ პუნქტს ითვალისწინებდა, აქედან ორი გადაიდო. როგორც საბჭოს მდივანმა განაცხადა, მათი მომზადება ვერ მოესწრო.[183] ერთ შემთხვევაში საკითხის განხილვა არ გადადებულა, თუმცა მის ირგვლივ ინფორმაციები სხდომის მიმდინარეობისას ზუსტდებოდა, რაც შეხვედრის გაჭიანურებას იწვევდა. გარდა ამისა, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მასზე სიღრმისეულად ემსჯელათ. ეს სიტუაცია არამოსამართლე წევრმა ირმა გელაშვილმა გააპროტესტა და აღნიშნა, რომ საკითხები სხდომაზე უფრო კარგად მომზადებული უნდა გასულიყო.[184]

პრობლემას ქმნის ისიც, რომ საბჭოში შესული დოკუმენტები წევრებს ავტომატურად არ ეგზავნებათ. ეს მათ ხელს უშლის, საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვონ ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

ამ გამოწვევების დასაძლევად, აუცილებელია, საბჭოს რეგლამენტმა გაითვალისწინოს: საბჭოს მდივნის მიერ სხვა წევრებისთვის იმ განცხადებებისა და პროექტების გადაცემის ბოლო ვადა, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზე იგეგმება; წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის წესი; დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი; საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება.

5.3. სხდომის მართვა

საბჭოს სხდომას უძღვება თავმჯდომარე ან მდივანი,[185] თუმცა დღემდე არ არის მოწესრიგებული სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული არაერთი პროცედურა. მოსაზრების გამოსათქმელად საბჭოს წევრი ვალდებულია, ანიშნოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც გამომსვლელთა რიგითობას ადგენს. რეგლამენტში არ წერია, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის გამოსახატად, რამდენჯერ შეიძლე-

[181] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი.
[182] იქვე.
[183] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის სხდომის ოქმი.
[184] იხ. საქართველოსი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმი.
[185] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

ბა ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთი უნდა მიეცეს წევრს განცხადების გასაკეთებლად. ამ საკითხების მოუწესრიგებლობა ხშირად იწვევს შინაარსობრივი დისკუსიის მიღმა არსებული თემების განხილვას, რაც ხელს უშლის კონკრეტულ თემებზე ეფექტიანი და საქმიანი მსჯელობის წარმართვას. **აუცილებელია, დეტალურად მოწესრიგდეს საბჭოს თითოეული წევრის მიერ საკითხზე აზრის გამოთქმის პროცედურა.**

რეგლამენტით, ასევე სათანადოდ არ არის დარეგულირებული გარეშე პირთა მოწვევისა და სხდომაზე დამსწრეთა გამოსვლის შესაძლებლობა, რადგან **არ შესრულდა რეკომენდაცია სხდომებზე დამსწრე პირების მხრიდან აზრის გამოთქმის წესის განსაზღვრის შესახებ.**[186]

5.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა. რეგლამენტის მიხედვით, ოქმი უნდა ასახავდეს: ვინ მოიწვია სხდომა, სხდომის მოწვევის თარიღს, დაწყების დროსა და ხანგრძლივობას, სხდომის მონაწილეთა და თავმჯდომარის ვინაობას, მომხსენებლისა და კამათში მონაწილეთა გამოსვლების შინაარსს, გამოთქმულ არგუმენტებს, მიღებულ გადაწყვეტილებას და, ასევე, ვინ რას მისცა ხმა.[187]

ოქმების საწარმოებლად 2018 წლიდან გამოიყენება სპეციალური აუდიოსისტემა, თუმცა აუდიოოქმები ვერ უზრუნველყოფს სხდომის დარბაზში არსებული რეალობის სრულფასოვნად ასახვას. მაგალითად, 4 ნოემბერს საბჭო მე-3 საკითხად იხილავდა „იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს“. საკითხის განხილვისას 5-წუთიანი შესვენება გამოცხადდა. ამ სხდომაზე დიმიტრი გვრიტიშვილი იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, რაც ოქმში არ არის ასახული.

პრობლემურია სხდომის ჩანაწერების დაგვიანებით გამოქვეყნება. 23 და 29 ივლისის ოქმები კი საბჭოს ვებგვერდზე საერთოდ არ ატვირთულა.

კანონით გათვალისწინებულია გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი, რომლებიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.[188] რეგლამენტის შესაბამისად, ისინი ოფიციალურ ვებგვერდზე უნდა აიტვირთოს მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო კონსოლიდირებული ვერსიები - ცვლილებიდან არაუგვიანეს 14 დღის პერიოდში.[189] გადაწყვეტილებები საბჭოს ვებგვერდზე დაგვიანებით ქვეყნდება.

ხარვეზებით მუშაობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საძიებო სისტემა, რაც ართულებს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა დოკუმენტების ძებნის პროცესს. პრობლემა ვერც საბჭოს ახალი ვებგვერდის ამოქმედებით გადაიჭრა, რომელიც სატესტო რეჟიმში მუშაობს.

---

[186] ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 68.
[187] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.
[188] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[189] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

მნიშვნელოვანია, საბჭომ უზრუნველყოს სხდომის ოქმების სრულყოფილად ჩაწერა და ვებგვერდზე გადაწყვეტილებების დროულად გამოქვეყნება.

5.5. სხდომების გადაღება და გაშუქება

წლებია, საია საბჭოს მიუთითებს მედიით სხდომების გაშუქების პრობლემაზე, თუმცა მის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.[190] მედიასაშუალებებს მხოლოდ სხდომის გახსნის ფოტოგადაღებისა და ვიდეო-აუდიო ჩაწერის შესაძლებლობა აქვთ.[191] კანონით, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სხდომის აუდიოჩანაწერი.[192]

პანდემიის პირობებში, საბჭოს დარბაზის სიმცირის გამო, სხდომები უმეტესად უზენაესი სასამართლოს პლენუმის დარბაზში ტარდებოდა.

COVID-19-ის გავრცელების რისკების თავიდან ასაცილებლად საიამ წინა წელს მიმართა საბჭოს, საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, უზრუნველეყო საბჭოს სხდომების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა.[193] ამით, ადგილზე მისვლის გარეშე, რეალურ დროში გახდებოდა შესაძლებელი განსახილველი საკითხების მონიტორინგი, თუმცა საბჭომ ეს არ გააკეთა. **მნიშვნელოვანია, საბჭოს სხდომები გადაიცემოდეს პირდაპირი ჩართვის რეჟიმში, რაც ნებისმიერ პირს შესაძლებლობას მისცემს, თვალი ადევნოს სხდომათა მიმდინარეობას, ხოლო მედიას - პროცედურული დაბრკოლებების გარეშე ისარგებლოს ამ ფორმატით.**

5.6. სხდომების დახურვა

კანონის თანახმად, საბჭო ვალდებულია, სხდომები ღიად და საჯაროდ წარმართოს,[194] ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, მისი დახურვის შესახებ გამოაცხადოს.[195] როგორც საია წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, არ არის განსაზღვრული სხდომის დახურვის საფუძვლები და პროცედურა,[196] **შესაბამისად, აუცილებელია, ეს საკითხი დაზუსტდეს (დახურვის საფუძვლად იშვიათი და პატივსადები მიზეზები უნდა დადგინდეს).**

პრობლემურია ჩანაწერი, რომლითაც მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, დახურულ ფორმატში წარმართოს გასაუბრება.[197] ბოლო წლებში დამკვიდრებული

---

[190] ციმაკურიძე ე. ნოზაძე ნ. და სხვები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №5, გვ. 23; ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №6, გვ. 26-27; ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 72-73.

[191] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-11^1 მუხლის მე-3 პუნქტი.

[192] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[193] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 8 აპრილის №g-04/51-20 წერილი.

[194] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლები.

[195] იქვე.

[196] ციმაკურიძე ე. მეზვრიშვილი ქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №4, გვ. 33-34; ციმაკურიძე ე. ნოზაძე ნ. ტაბატაძე გ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №5, გვ. 22-23; ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №6, გვ. 31; ნოზაძე ნ. შერმადინი ო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 76.

[197] „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №308 გადაწყვეტილების მე-12^7 მუხლის მე-2 პუნქტი.

პრაქტიკით, გასაუბრების დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე კონკურსანტს ეკითხება ფორმატის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატების მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ხოლო პროცესის გამჭვირვალობა არსებითია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სისტემისადმი ნდობის უზრუნველსაყოფად. მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდში არცერთ კანდიდატს გასაუბრება არ დაუხურავს. პროცესის ღიაობა და საჯაროობა ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ფართო საზოგადოებისთვის შესაძლებელი ხდება როგორც მოქმედ მოსამართლეთა, ისე საბჭოს წევრთა კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების შეფასება. **მნიშვნელოვანია, რომ პირველ და მეორე ინსტანციაში გასაუბრებები, უზენაესი სასამართლოს კანდიდატების მსგავსად, საბჭოს ღია სხდომაზე ტარდებოდეს.**

6. რეკომენდაციები

წინამდებარე მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საია მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

პარლამენტმა ნორმატიულ აქტებში ცვლილებების გზით უნდა უზრუნველყოს:

- საბჭოში თავმჯდომარეების კვოტის გაუქმება;
- საბჭოს დაკომპლექტებისას გავლენის შესამცირებლად, გენდერული, რეგიონული და ინსტანციური კვოტების (ეს უკანასკნელი კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს) დაწესება;
- საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნა ორმხრივი (ხელისუფლებისა და ოპოზიციის) მხარდაჭერით. გენდერული კვოტების დაწესება;
- არამოსამართლე წევრების არჩევის გამჭვირვალე წესი;
- მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება ღია სხდომაზე;
- პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნა/უვადოდ გადანიშვნა მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით;
- გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნის პროცედურის გადახედვა (საბჭოს სხდომაზე უნდა გავიდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტი თანამდებობაზე მოსამართლის უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. თუ წინადადება ვერ მოაგროვებს 6 ხმას, მოსამართლე გასაუბრებაზე უნდა დაიშვას);
- ნომინირდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ის კანდიდატი, რომელიც ცალ-ცალკე მოიპოვებს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ს;
- თავმჯდომარეების არჩევითობა (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში);
- თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეების (მათი მოვალეობის შემსრულებლების) ადმინისტრაციული პოზიციების გაუქმება;
- ინსპექტორის დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3-ის განსაზღვრა;
- მოსამართლის დისციპლინური დევნის დაწყებაზე უარის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება;
- დისციპლინური დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების 2/3-ით მიღება.

იუსტიციის საბჭომ კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირების იმპლემენტაციის სრულყოფისთვის უნდა უზრუნველყოს:

- პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნის დასაბუთებაში კონკრეტული გარემოებების იმგვარად მითითება, რომ დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მოსამართლის კეთილსინდისიერების თაობაზე;
- მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა;
- თავმჯდომარეების დანიშვნისა და წარდგენის გამჭვირვალე პროცედურისა და წესის დადგენა;
- საქმის კოლეგიურად განხილვისას სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესის შესაბამისად, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციაში - წილისყრით განაწილება;
- ინსპექტორის შერჩევის საკონკურსო წესის სრულყოფა: შერჩევის კრიტერიუმების, გასაუბრების ჩატარების, კანდიდატის შეფასებისა და დასაბუთების წესების განსაზღვრა;
- დისციპლინური საჩივრების განხილვა კანონით დადგენილ ვადებში;
- სხდომების შესახებ ინფორმაციისა და დღის წესრიგის წინასწარ, კანონით დადგენილ ვადაში გამოქვეყნება;
- საბჭოს წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის, მათი მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პროცედურის, სხდომის დღის წესრიგის შედგენის, იქიდან საკითხის ამოღებისა და დამატების, სხდომაზე მესამე პირების მოწვევისა და დამსწრეთა მიერ აზრის გამოთქმის წესების შემუშავება;
- საბჭოს სხდომების ონლაინრეჟიმში გადაცემა;
- საბჭოს სხდომების დახურვის წესის შემუშავება.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე წესი და კრიტერიუმები.